# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებული 1918 წელს.

ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 2007 წელი.

№ 23 (5624)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




2

## დაჩიხრული ვეტერანები

## ქართველებმა ცხინვალის აღება სცადეს

ИЗВЕСТИЯ

8

## ახალი ვერსიები ზურაბ ჟვანიას დაღუპვასთან დაკავშირებით



ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## მუცლის ტიფიდან დაწყებული სისხლისღვრა

3-4

## კოვალენკოს სურს, საქართველო დამოუკიდებელ, სუვერენულ, ნეიტრალურ სახელმწიფოდ იხილოს

2



## „ჩვენ სიყვარულის შვილები ვართ"...

9



რუსეთის მუდმივი ინტერესი იყო და არის საქართველოს ტერიტორიების ანექსია. ამდენად, ჩვენს ხელისუფლებას მეტი სიფრთხილე მართებს, რომ რუსული მხარის ეს ნანატრი პროვოკაცია არ გაღვივდეს

2

## ოქრუაშვილის აგრესიული რიტორიკა არაფერ შუაში ყოფილა

● ვიაჩესლავ კოვალენკოს შეზღუდვების მოხსნაზეც შეეკითხნენ. მისი თქმით, მოსკოვში საჰაერო მიმოსვლის აღდგენაზე კონსულტაციები იმართება და გაირკვევა, კონკრეტულად თუ რამ განაპირობა საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტა ორ ქვეყანას შორის



◎ პროტესტი

## ვეტერანებმა აქციები გააგრძელეს

**ვეტერანებმა, სოციალური შეღავათების აღდგენის მოთხოვნით, აქციები განაახლეს.**

პარლამენტის წინ შეკრებილმა მომიტინგეებმა ვეტერანთა დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნუკრი ცაგარეიშვილის გადადგომა მოითხოვეს.

მათი განცხადებით, აღნიშნული დეპარტამენტი ვეტერანთა პრობლემების გადაჭრაში ქმედითუუნაროა.

მომიტინგეებს სოლიდარობას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დევნილები, დარბეული გარემოვაჭრეები, შენობადანგრეული მესაკუთრეებიც უცხადებენ. საპროტესტო აქციას ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრებიც ესწრებიან.

ვეტერანთა საპროტესტო აქციას საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების წევრებიც შეუერთდნენ, რომლის წარმომადგენლის გოჩა ალექსანდრიას განცხადებით, პროფკავშირების მთავარი მიზანია, გვერდში დაუდგეს უფლებაშელახულ ვეტერანებს და შენობაჩამორთმეულ მესაკუთრეებს.

* * *

**ვეტერანთა აქციას პარლამენტის წინ 100-მდე უსინათლო შეუერთდა, რომლებიც ხელისუფლებას გაუქმებული სოციალური შეღავათების აღდგენას და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფას სთხოვენ.**

ინტერპრესნიუსი



◎ რუსეთის ელჩის პირველი პრესკონფერენცია

## კოვალენკოს სურს, რომ საქართველო დამოუკიდებელ, სუვერენულ, ნეიტრალურ სახელმწიფოდ იხილოს

**უამრავი ჟურნალისტი დაესწრო „რია ნოვოსტის“ ოფისში გამართულ საქართველოში რუსეთის ელჩის პირველ პრესკონფერენციას. ელჩს, პარალელურად, შეკითხვებს ტელეხიდით მოსკოვიდანაც უსვამდნენ.**

ვიაჩესლავ კოვალენკომ სინანულით განაცხადა, რომ მოსკოვიდან თბილისში მის დაბრუნებას ურანის სკანდალი მოჰყვა, მაგრამ, მისი აზრით, ეს იყო დამახინჯებული ფაქტები: „რუსეთმა მრავალჯერ მოუწოდა საქართველოს, რომ ეს საქმე ერთობლივად გამოეძიებინათ. რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ საგანგებო მიმართვა გამოუგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურორს, ამ ინციდენტის გამოსაძიებლად მასალები მოგვეცითო, მაგრამ ეს მასალები არ მიაწოდეს...“



რუსეთის ელჩი ერთობ კეთილგანწყობილად და დამტკბარად გამოიყურებოდა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სურს საქართველო დამოუკიდებელ, სუვერენულ და ნეიტრალურ სახელმწიფოდ იხილოს, რომელიც ყველა ქვეყანასთან ნორმალურ ურთიერთობას დაამყარებს (იგულისხმებოდა, ცხადია, რუსეთიც). ელჩის აზრით, რუსეთთან საქართველო კეთილმეზობლური დამოკიდებულებით უნდა გამოირჩეოდეს: „რუსეთიც მიისწრაფვის ურთიერთპატივისცემასა და პატიოსნებაზე დაფუძნებული ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობისკენ“.

ორ ქვეყანას შორის ხიდის აღსადგენად, კოვალენკოს აზრით, უპირველესად უნდა შეწყდეს ანტირუსული ისტერია საქართველოში და ყველა ქართულ პრობლემაში „რუსეთის ხელის“ დანახვა:

„საქართველოს არა ჰყავს მტრულად განწყობილი ქვეყნები, მას არავინ ემუქრება. თავის მხრივ, არც რუსეთს ამოძრავებს რაიმე ეგოისტური ინტერესები აფხაზეთისა თუ სამხრეთ ოსეთის მიმართ“.

ელჩმა დიდხანს ილაპარაკა ორ ქვეყანას შორის ნდობის აღდგენაზე. მან ჟურნალისტებს რუსეთის საელჩოს კულტურული და ჰუმანიტარული პროექტებიც გააცნო. კოვალენკომ დანანებით განაცხადა, ქართველი ახალგაზრდობა რუსულ ენას აღარ უთმობს ყურადღებასო. ეს წუხილი მას საქართველოს პრეზიდენტისთვისაც გაუნდვია. საააკაშვილს მხარი დაუჭერია საელჩოს პროექტისთვის, შეიქმნას რუსული მეცნიერებისა და კულტურის ცენტრი, ხოლო საქართველოს ყველა დიდ ქალაქში დაარსდეს რუსული სკოლები.

ვიაჩესლავ კოვალენკოს სთხოვეს, აეხსნა, თუ რატომ არიგებს რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთში რუსულ პასპორტებს.

ელჩის აზრით, ამ თემას ფესვები 90-იან წლებში აქვს, როცა „საომარი მოქმედებების შემდეგ აფხაზეთის მოსახლეობა უკიდურესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა“. აფხაზეთის ტერიტორიაზე მრავალი რუსი ცხოვრობდა, რომელთაც დახმარება სთხოვეს ისტორიულ სამშობლოს(!) „რუსეთის სახელმწიფოს არ შეეძლო მათთვის უარი ეთქვა. ამიტომ პასპორტების გაცემით გადაწყვიტა ამ ადამიანებისთვის შესაძლებლობა მიეცა, საარსებო წყაროს საძიებლად რუსეთში წასულიყო. ეს იყო ჰუმანური ნაბიჯი“, – დაასკვნა ელჩმა.

ვიაჩესლავ კოვალენკოს შეზღუდვების მოხსნაზეც შეეკითხნენ. მისი თქმით, მოსკოვში საჰაერო მიმოსვლის აღდგენაზე კონსულტაციები იმართება და გაირკვევა, კონკრეტულად თუ რამ განაპირობა საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტა ორ ქვეყანას შორის.

ელჩის აზრით, მიმოსვლის აღსადგენად ტექნიკური პრობლემები უნდა მოგვარდეს. ხოლო ეკონომიკური ემბარგოს თაობაზე, კერძოდ, უხარისხო პროდუქციის რუსეთში შეტანაზე დასძინა, რომ აუცილებელია კონსულტაციები ექსპერტებთან. მათ მშვენივრად იციან, ამ აკრძალვის ტექნიკური მიზეზიო.

კოვალენკომ პრესკონფერენციაზე შრომითი ემიგრაციის საკითხებზეც ილაპარაკა. თურმე, რუსეთში 10 მილიონი არალეგალური მიგრანტი ცხოვრობს. რუსეთი ქართველების მიმართ მიკერძოებული ურთიერთობით არ გამოირჩევა, და ლეგალურად მცხოვრებ ადამიანს იქ პრობლემები არ შეექმნება.

ელჩმა განაცხადა, რომ მალე მოგვარდება ვიზების საკითხიც, ოღონდ, ამ შემთხვევაშიც, ტექნიკური პრობლემებია მოსაგვარებელი.

დაბოლოს, ვიაჩესლავ კოვალენკომ თავი აარიდა ქართველი ჟურნალისტების შეკითხვას ჩეჩნეთის თაობაზე. რუსეთს არ მოსწონს, საქართველოს მიერ შეიარაღების გაძლიერება, მაგრამ თავად გადახნა ჩეჩნეთი, მაშ, ეს რუსეთისთვის დასაშვები იყო, ხოლო ჩვენ ჩვენი ძირძველი მიწების დაბრუნება გვეკრძალება.

ბუნებრივია, კოვალენკოს ეს შეკითხვა არ ესიამოვნა. ამიტომაც მისი ვითომც ვერა გაიგო რა...

თამარ შაიშმელაშვილი

◎ ინფორმაცია

## აგარაკები იყიდება — ბურჯანაძე შეელევა კი?

**სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სამთავრობო აგარაკები, შესაძლოა, გაიყიდოს. ინფორმაციას ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრი რეფორმების კოორდინაციის საკითხებში კახა ბენდუქიძე ადასტურებს.**

**— სამთავრობო აგარაკები უნდა გაიყიდოს. რაც შეხება ხელისუფლების უმაღლეს პირებს, მათ საკუთარი რეზიდენციები უნდა ჰქონდეთ, მაგრამ არ შეიძლება სახელმწიფოს საკუთრებაში უამრავი აგარაკი იყოს. ცხადია, ისინი უნდა გასხვისდეს, — განაცხადა კახა ბენდუქიძემ.**

**გავრცელებული ინფორმაციით, საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ის სამთავრობო აგარაკიც მოხვდა, რომლითაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სარგებლობს.**

## შემოქმედებითი კავშირები თუ... არასამთავრობო ორგანიზაციები?

**— ჩვენ ვაპირებთ ყველა შემოქმედებითი კავშირი არასამთავრობო ორგანიზაციად ვაქციოთ. ამ გზით გამოიკვეთება სამუშაო მიმართულებები და ხელოვანები ხელოვნებას დაუბრუნდებიან, — ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა.**

**— ჩვენი მიზანია საქართველოში ყველა შემოქმედებითი კავშირი თანაბარ, კონკურენტუნარიან და სამართლებრივ პირობებში ფუნქციონირებდეს. დღესდღეობით უამრავი რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული კავშირი, ასოციაცია და უბრალოდ ჯგუფი არსებობს, რომელთა საქმიანობა რეგულირებას საჭიროებს, — აღნიშნა გიორგი გაბაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## მხარს უჭერენ „ეროვნული ფორუმის“ ინიციატივას

**პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ ინიციატივას ოპოზიციურ პარტიათა სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც გამართული საარჩევნო სისტემის შექმნაზე იმუშავებს, ხუთი ოპოზიციური პარტია გამოეხმაურა.**

**როგორც პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლებმა განაცხადეს, „რესპუბლიკელები“, „კონსერვატორები“, „მრეწველები“, პარტია „თავისუფლება“ და „ლეიბორისტები“ უკვე მზად არიან ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ.**

**პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, ინიციატივას არ გამოხმაურებიან „ახალი მემარჯვენეები“. სავარაუდოა, რომ აღნიშნული პარტიის სამუშაო ჯგუფში ჩართვა აღარც მოხდება, რადგან ინიციატივაზე გამოხმაურების საბოლოო ვადად „ეროვნულ ფორუმს“ 5 თებერვალი ჰქონდა დანიშნული.**

**როგორც ცნობილია, „ეროვნულმა ფორუმმა“ 30 იანვარს ექვს ოპოზიციურ პარტიას მიმართა ინიციატივით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რათა ჩამოყალიბდეს გამართული საარჩევნო სისტემისა და არჩევნებზე ხმის მიცემის პროცედურის ისეთი მოდელი, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას.**

ინტერპრესნიუსი

◎ კომპეტენტური აზრი

# თურმე, ოქრუაშვილის აგრესიული რიტორიკა არაფერ შუაში ყოფილა

**აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაძაბული მდგომარეობის მიზეზად პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი რუსეთის მხრიდან დათმობას ასახელებს. იგი აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ ბოლო დროს საქართველოს შესახებ გაკეთებული განცხადებები გავლენიანი რუსული სამხედრო მანქანის ინტერესის გარეშე არ გამოითქმებოდა.**

— ბოლო დღეებში სიტუაციის დაძაბვა ცხინვალის რეგიონში პუტინის რევერანსების პირდაპირი შედეგია. ის ნაბიჯები, რომელიც თითქოს რუსეთის მხრიდან საქართველოს მისამართით დათმობას გულისხმობს, ისე არ გადაიდგმებოდა სამხედრო მანქანა, რომ არ იყოს დაინტერესებული, ის კარგა მნიშვნელოვანია თავისი წონით და საგრძნობი გავლენა აქვს. თავად პუტინზეც. სწორედ ამ ძალების დასამშვიდებლად და იმედის მისაცემად ახორციელდებს პროვოკაციებს თვითმარქვია ხელისუფლებანი. ისინი, ცხადია, კრემლთან შეთანხმების გარეშე ნაბიჯსაც ვერ დგამენ, — აცხადებს ცისკარიშვილი.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ ვითარება საქართველოს ხელისუფლებისაგან სიფრთხილეს მოითხოვს.



— ამ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლებას განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. დღითი დღე ცხადი ხდება, რომ ირაკლი ოქრუაშვილის აგრესიული რიტორიკა არაფერ შუაში იყო. მისი შემცვლელი ბატონი კეზერაშვილი არ გამოირჩევა გულადი მეომრის თვისებებით. შესაბამისად, მის რიტორიკაში არანაირი აგრესია არ არის. იგი საერთოდ დუმს. ამიტომ უფრო უკეთ ჩანს, რომ თითიდან გამოწოვილი ყოფილა ყველა ის მიზეზი, რის გამოც ვითომ იძაბებოდა სიტუაცია საქართველოსა და რუსეთს შორის, — აცხადებს იგი.

ცისკარიშვილი ხელისუფლებას აფრთხილებს, არ წამოეგოს პროვოკაციას, რათა ქართული მხარის მშვიდობიან ინიციატივებს საფრთხე არ შეექმნას.

— რუსეთის მუდმივი ინტერესი იყო და არის საქართველოს ტერიტორიების ანექსია. ამდენად, ჩვენს ხელისუფლებას მეტი სიფრთხილე მართებს, რომ რუსული მხარის ეს ნანატრი პროვოკაცია არ გაღვივდეს და წყალში არ ჩაიყაროს მშვიდობიანი პოლიტიკის გატარების მრავალი მცდელობა, — აცხადებს პოლიტოლოგი.

ექსპერტი მიიჩნევს, როიმ რაც დღეს კონფლიქტის ზონებში ხდება ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პირდაპირი პასუხებია ქართული მხარის მოთხოვნაზე, დაიწყოს ორმხრივი უპირობო დიალოგი თბილისსა და სოხუმს და თბილისსა და ცხინვალს შორის.

— კრემლი არ დაუშვებს, რომ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს და ცდილობს ყველანაირი წინაპირობა მოუსპოს სამშვიდობო დიალოგს. ასეთ პროვოკაციებზე არ წამოვეგებით და გავაგრძელებთ მცდელობას, რეალურად დავარწმუნოთ ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყნები, რომ ომს არ ვაპირებთ, — განაცხადა ცისკარიშვილმა.

იგი მიიჩნევს, რომ თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მოთხოვნა საქართველოს ხელისუფლებასთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, კატეგორიულად მიუღებელი არ უნდა იყოს, თუმცა რამდენიმე აუცილებელი თავისებურების გათვალისწინება საჭიროა.

— ასეთი ტიპის ხელშეკრულება ზოგადად ხელს შეუწყობს მშვიდობის დამყარებას საქართველოში. მაგრამ ეს უნდა იყოს დოკუმენტი, რომელიც კონფლიქტების თავისებურებას გაითვალისწინებს. კერძოდ კი იმას, რომ ეს არ გახლავთ კონფლიქტი თბილისსა და სოხუმს შორის ან თბილისსა და ცხინვალს შორის, — აცხადებს პოლიტოლოგი.

მისი თქმით, კონფლიქტის ერთ-ერთ მხარედ აუცილებლად გასათვალისწინებელია მოსკოვი და დოკუმენტიც ამის მიხედვით უნდა შედგეს. ასევე, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ამ ტერიტორიიდან განდევნილი მოსახლეობის მოთხოვნების და სურვილების უპირობო დაკმაყოფილებას.

— სწორედ ასეთი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და მას სერიოზული საერთაშორისო აღიარებაც ექნება, — დაასკვნა ცისკარიშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 23. ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 2007 წელი.

● თუ ცესკოს არ ესმის, რას ნიშნავს რუსეთთან ურთიერთობის სასწრაფოდ მოგვარება, მაშინ შევეცდები მისთვის გასაგებ ენაზე ავუხსნა, რას ნიშნავს „სასწრაფოდ“.



◉ პოზიცია

# როცა ერთი ჩინოვნიკის ხელმოწერა წყვეტს ჩვენს მომავალს

## ცესკოს არ ესმის, თუ რას ნიშნავს რუსეთთან ურთიერთობის სასწრაფოდ მოგვარება

**რედაქციას ხელში ჩაუვარდა ქართულ პრესაში ჯერაც გამოუქვეყნებელი დოკუმენტაცია, რომელიც ამტკიცებს, რომ ხელისუფლება ყველანაირი ხერხით ცდილობს, ხელი შეუშალოს რეფერენდუმის ჩატარებას ერთადერთი შეკითხვით: სურს თუ არა ქართველობას, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაუსვას წერტილი ამ დაძაბულობას და რუსეთთან კეთილმეზობლური და დამშვიდებული ურთიერთობა აირჩიოს?**

წინდაწინვე ვიტყვით: ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეფერენდუმის ჩატარებაზე უარის თქმის მიზეზები იმდენად პარადოქსულია და კურიოზული, საქმე სატირლად რომ არ იყოს, კაცი გულიანად იცინებდა.

თავად განსაჯეთ: საინიციატივო ჯგუფმა **გულიკო დვალის, კახა ნიქაბაძის, ალექსანდრე ფარჯანიძისა** და **გიორგი ყორღანაშვილის** შემადგენლობით **2006 წლის 17 მარტს** ცესკოს სარეფერენდუმო საკითხის რეგისტრაციაში გატარების თხოვნით მიმართა. სარეფერენდუმო კითხვის ფორმულირება ასეთია: **„თანახმა ხართ თუ არა, რომ სასწრაფოდ მოწესრიგდეს რუსეთთან ურთიერთობა და დაიდოს მასთან კეთილმეზობლური, კეთილმეგობრული თანამშრომლობის პაქტი?“**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის №94/2006 განკარგულებაში „სარეფერენდუმოდ შეთავაზებული საკითხისა და საინიციატივო ჯგუფისთვის უარის თქმის თაობაზე“ წერია, რომ **„შემოთავაზებული საკითხის მოცემული ფორმულირება დაზუსტდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო** (სარეფერენდუმოძ **კომისიის 2006 წლის 5 მარტის სხდომაზე“.**

თარიღს დააკვირდით: საინიციატივო ჯგუფმა სარეფერენდუმო საკითხი ცესკოს 2006 წლის 17 მარტს წარუდგინა, ამ უკანასკნელმა კი შეთავაზებული საკითხი 2006 წლის 5 მარტს დაამტკიცა, ანუ საკითხის შეტანამდე 12 დღით ადრე (?!ძ.

როგორ და რანაირად მოხერხდა ეს გაუგებრობა? ეტყობა, ცესკოს თავმჯდომარეს ბატონ **გურამ ჩალაგაშვილს,** ვისი ხელმოწერაც დამღასავით აზის ამ დოკუმენტს, 12 დღით ადრე „ხილვა“ ჰქონდა, რომ 12 დღის მერე საინიციატივო ჯგუფი მის კომისიას ამ საკითხს წარუდგენდა და 12 დღით ადრე გადაწყვეტდა ამ ჯგუფისთვის რეფერენდუმის ჩატარებაზე უარი ეტკიცა.

უფრო კურიოზულია რეფერენდუმის ჩატარებაზე უარის თქმის მიზეზი. **თურმე, კითხვის ფორმულირებაში არ არის დაკონკრეტებული, თუ დროის რა მონაკვეთს გულისხმობს სიტყვა „სასწრაფოდ“.**

თუ ცესკოს არ ესმის, რას ნიშნავს რუსეთთან ურთიერთობის სასწრაფოდ მოგვარება, მაშინ შევეცდები მისთვის გასაგებ ენაზე ავუხსნა, რას ნიშნავს „სასწრაფოდ“.

**„სასწრაფოდ“ ნიშნავს რუსეთთან ურთიერთობის მანამდე მოგვარებას, სანამ ქვეყანა თავზე დაგვემხობა, სანამ რუსეთს ისტორიული შიდა ქართლი და აფხაზეთი მიუერთებია, სანამ „ემ-ჩე-ესით“ გაუძევებია რუსეთიდან უკანასკნელი ქართველი, ქართული სკოლები და ეკლესიები გაუუქმებია, სანამ საქართველოსთვის სამუდამოდ შეუწყვეტია გაზისა და დენის მიწოდება და სანამ ბევრი ისეთი რამ გაუკეთებია, რის გაკეთებასაც რუსეთს ჭკუა არ დაუშლის, ისევე როგორც საქართველოს ხელისუფლებას არ დაუშლის ჭკუა, რუსეთი იქამდე მიიყვანოს, რომ ეს ყველაფერი გააკეთებინოს.**

ეს შეიძლება მოხდეს ხვალ, ზეგ, ან ერთი წლის მერე, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ თუ საქმეს დროზე არ მიეხედა, უეჭველად მოხდება და ამიტომ **„სასწრაფოდ“ „დღესაც“ ნიშნავს, „ხვალესაც“ და „ერთი წლის მერესაც“.**

ცენტრალურ საარჩევნო კომისიისთვის, თურმე, ისიც გაუგებარია, **თუ რა იგულისხმება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაში და რომელი სფეროების მოგვარება იგულისხმება სარეფერენდუმო შეკითხვაში.**

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია: თუ ბატონ ჩალაგაშვილს არ ესმის, რა იგულისხმება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაში, მაშინ არც მე მესმის, რატომ არის იგი ცესკოს თავმჯდომარე და რატომ აქვს 3 ათასი ლარი ხელფასი?

ყველაზე სასაცილო და პარადოქსული მაინც რეფერენდუმის ჩატარებაზე უარის თქმის ეს მიზეზია, **რა აზრი აქვს რეფერენდუმის ჩატარებას, ქართველმა ხალხმა რომც მოინდომოს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, რუსეთი ამაზე წამსვლელი მაინც არ არისო.** არადა, რუსეთის მხარე უფრო ხშირად საუბრობს საქართველოსთან კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე, ვიდრე ჩვენი ხელისუფლება. ჩვენი პრეზიდენტის მიერ რუსეთის პრეზიდენტის ყოველი გალანძღვის შემდეგ ბატონი პუტინი გამოდის და საქართველო-რუსეთის, ქართველი და რუსი ხალხის მეგობრულ ურთიერთობებზე საუბრობს. შეიძლება გულში სხვა რამე უდევს, მაგრამ მსოფლიოს გასაგონად ხომ ამბობს ამას, ხომ აყენებს საერთაშორისო საზოგადოებას ფაქტის წინაშე, აი, ჩვენ ასეთი პოზიცია გვაქვს, ქართულ მხარეს კი ჩვენი ლანძღვის გარდა არაფერს აკეთებსო?

რატომ არა აქვს ჩვენს ხელისუფლებას იმის კეთილი ნება, რომ რუსეთს იგივეს გაკეთება დაასწროს? რატომ არა აქვს მთელს ერთად აღებულ სახელისუფლებო სპექტრს საზრიანობა და სახელმწიფოებრივი პოზიცია?

მრჩება შთაბეჭდილება: იმისათვის, რომ საქართველოს მმართველებმა ძალაუფლება შეინარჩუნონ, რატომღაც საჭიროა მუდმივად დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან, საჭიროა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის პრობლემის მარადიული არსებობა.

მერე რა, თუ ეს ყოველივე ქართველ ხალხს აზარალებს, აჩიავებს, ათითოკაცებს, აღარიბებს, ამშევს, აპატიმრებს, კლავს და ცრემლებს აღვრევინებს! ვის აინტერესებს ეს? ცრემლების უკვე მარტო მოსკოვს კი არა, კარგა ხანია, თბილისსაც აღარ სჯერა!

და არ დაიჯერებს მანამ, სანამ ხელისუფლების მიერ გამოჩეკილი ამა თუ იმ ჩინოვნიკის ერთი ხელმოწერა წყვეტს ქართველი ხალხის მომავალს.

**ბაჩო კოკაია**

◉ კონფლიქტის ზონა

# მუცლის ტიფიდან დაწყებული სისხლისღვრა

## ცხინვალელ ოსებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების ალბათობა 70 პროცენტია

***ვლადიმერ სანაკოევი საზოგადოებრიობამ ჯერ ტელეკომპანია „ალანიას“ წამყვანად, შემდეგ „ოსთა ხსნის კავშირის“ პრეზიდენტად, ბოლოს კი ცხინვალის პარალელური არჩევნების ერთ-ერთ ხელმძღვანელად გაიცნო.***

***ამჟამად იგი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული მთავრობის ინფორმაციისა და მეცნიერების მინისტრია.***

***რა გზა გამოიარა მან, რას მიიჩნევს კონფლიქტის დაწყების მიზეზად და როგორ ესახება მისი მოგვარება, რას ფიქრობს ოსი და ქართველი ხალხის თანაცხოვრებაზე? — ამ და სხვა რეალურ საკითხებზე ბატონი ვლადიმერ სანაკოევი ესაუბრა ჩვენს კორესპონდენტს.***

**— ბატონო ვლადიმერ, თქვენი აზრით, საიდან დაიწყო ქართულ-ოსური კონფლიქტი?**

— ნათქვამია, პოლიტიკასთან თუ არ მიხვალ, პოლიტიკა თავად მოვა შენთანო. მეც სწორედ ასე დამემართა. რა თქმა უნდა, რიგითი ცხინვალელის პირობებზე, მეც ვაკვირდებოდი იმ პროცესებს, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში ჯერ კიდევ კონფლიქტამდე რომ მიმდინარეობდა. კამჩატკაზე ცხოვრების დროს პრესის საშუალებით ვეცნობოდი რეგიონში მიმდინარე მოვლენებს და მუდმივად ვიყავი საქმის კურსში. 1988 წელს, როცა ცხინვალში მუცლის ტიფის ეპიდემიამ იფეთქა, ვხვდებოდი, რომ ვიღაც სატანურ სცენარს ახორციელებდა, რადგან ახლა უკვე დანამდვილებითაა ცნობილი, რომ მაშინ გამოიყენეს ტიფის იმიტატორი... კონფლიქტის ათვლაც სწორედ იქიდან უნდა დაიწყოს და არა იმ თარიღიდან, როცა პოლიტიკურ სცენაზე გამოჩნდა, ერთის მხრივ, ზვიად გამსახურდია, ნაციონალური იდეითა და, მეორეს მხრივ, „სახალხო ფრონტი“ ალან ჩოჩიევის, ზელიმ ცხოვრებოვის და ვალერი გაზაევის მეთაურობით. კონფლიქტი დაიწყო 1988 წელს, მაშინ, როცა მთავრობას ჩამოაცილეს ფელიქს სანაკოევი, რადგან მისი მმართველობის პერიოდში კონფლიქტის გაჩაღებას ვერავინ შეძლებდა...

ეს იყო მოსკოვში დაწერილი სცენარი, რათა მმართველობა გადაეცათ ქუჩიდან მოსული, მმართველობისათვის მოუმზადებელი ადამიანებისათვის. ახლა უკვე ცხადია, რომ საქართველოსათვის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა არც კი ყოფილა საჭირო, რადგან დამოუკიდებლობაც თავად მოვიდოდა და საბჭოთა კავშირიც თავისთავად დაიშლებოდა. უბრალოდ, ვიღაცას სჭირდებოდა, მოსკოვის რისხვა დაეტეხა საქართველოსთვის.

მოსკოვიდან ცხინვალის მთავრობაში დანიშნეს თანამოაზრენი, ეს იყო პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც შემდგომ ეროვნებათშორის კონფლიქტად შეფერადდა! ასეთი რამ კი ქართველებსა და ოსებს შორის არასდროს ყოფილა და მათი მეგობრობა მუდამ სამაგალითო იყო. ჩვენ მსგავსი გვაქვს კულტურა, წეს-ჩვეულებები, ხასიათი, მენტალობა...

ყოველივეს კი ვხედავდი, მაგრამ უძლური ვიყავი რაიმე მეღონა. რაც შემეძლო, ვეხმარებოდი ჩემს ახლობლებს სოჭიდან, სადაც ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. ცხინვალში კი იმ მიზეზით არ ჩამოვდიოდი, რომ იქ მე და ჩემი ოჯახიც უსახსროდ დავრჩებოდით.

მას შემდეგ, რაც საშუალება გამიჩნდა, როგორც შემეძლო, ჰუმანიტარულ დახმარებას ვუწევდი ჩემს ხალხს, უზრუნველვყავი 45 კაცის 10-დღიანი დასვენება სოჭში, ხუთნაკადად და ეს ჩემი ნათესაობა არ იყო. ესენი, ძირითადად, სოციალურად დაუცველი ადამიანები იყვნენ: ექიმები, მასწავლებლები, ანსამბლ „სიმდის“ მოცეკვავენი, თეატრის წარმომადგენლები...

1995 წელს მომმართა ჩემმა ყოფილმა გეოგრაფიის მასწავლებელმა ეკატერინე ქელეხსაევამ, რომელიც დამსვენებელთა შორის იყო და მთხოვა, იქნებ დავხმარებოდი, რათა სოჭში დარჩენილიყო. თანახმა იყო მისთვის შეუფერებელ, შავ სამუშაოზეც კი... ძალზე მტკივნეულად განვიცადე, რადგან ეს ქალბატონი ჩემთვის ცოცხალი ლეგენდა იყო...

ამან ისე შემაწუხა, რომ გადავწყვიტე დამეარსებინა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ოსთა ღირსებისა და პატივისათვის“. ამასთან, ვისაც ჯერ არს, ავუხსენი, რომ ამ პრობლემებს მე ვერ გადავწყვეტდი. ვიცოდი, რა გზითაც არ უნდა გვევლო, მაგრამ სწორი სავალი თავად უნდა აერჩიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავემსგავსებოდით იმ ფარას, ერთი წინამძღოლი რომ ჰყავს, რომელიც უფსკრულისაკენ მიერეკება. 1995 წელს სოჭიდან დაბრუნებულმა ამ ხალხმა, დააფუძნეს ეს ორგანიზაცია, მაგრამ იმდენად არაორგანიზებულნი და დემორალიზებულნი იყვნენ, რომ ორგანიზაციამ სულ ცოტა ხანი იარსება.



ჩემი მსოფლმხედველობა ემთხვეოდა ცხინვალელი ინტელიგენტის სერგო მინდიაშვილის ნააზრევს, რომელმაც 1990 წლის იანვარში გაზეთ „Южная Осетия“-ში გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „ჩემი სულის ტკივილი“. გაზეთის ამ ნომერს დღემდე ვინახავ. მას სული სტკიოდა და დღეს რომ გამოჩნდეს ცხინვალში ვინმე, რომელიც ამ სტატიას ისევ დაბეჭდავდა, გარწმუნებთ, მიხვდებოდნენ, რომ შეცდნენ — სისხლისღვრა თბილისს და ქართველებს არ დაუწყიათ! არ მოიძებნა ცხინვალში საღი აზრის მქონე კაცი, რომელიც უარყოფით ენერგიას გაანეიტრალებდა და საქმეს კონფრონტაციამდე არ მიიყვანდა!

პასუხად ცხინვალიდან ტელევიზიითა და პრესით მიტევენ: შენ არ გინახავს ცხინვალის სკოლის ეზო, სადაც ამდენი ოსი ახალგაზრდა განისვენებსო. მე კი კითხვას სხვაგვარად ვსვამ, ხნიერ ხალხს ვეკითხები: რატომ ხართ თქვენ ცოცხლები და რატომ წვანან ახალგაზრდები მიწაში? ამას იმისათვის ვაკეთებ, რომ სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება მსურს, ჩემი დადანაშაულება არ არის მართებული!

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## თარგამაძეს დისკრედიტაციის მცდელობაში ადანაშაულებენ

**პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი მელაშვილი უშიშროებისა და თავდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეს დისკრედიტაციის მცდელობაში ადანაშაულებს.**

**როგორც მელაშვილმა განაცხადა, გივი თარგამაძესთან სასამართლოს გზით ბრძოლა უშედეგო იქნება, ამიტომ „მას ბრძოლის სხვა მეთოდებთან მოუწევს შეხება და ეს ყველაფერი ძალიან ძვირად დაუჯდება“.**

**ამავე დროს, მელაშვილი იმედოვნებს, რომ თარგამაძის გამონათქვამები „მოღალატეებად გამოცხადების“ შესახებ არც ერთ ორგანოში დირექტივად არ იქნება აღქმული. იმ შემთხვევაში კი, თუ მის მიმართ რაიმე ტიპის დევნა დაიწყება, მელაშვილი თარგამაძეს „სასტიკ ანგარიშსწორებას“ ჰპირდება.**

**„ძალიან დიდ შეცდომას დაუშვებენ, თუ ჩვენს წინააღმდეგ რაიმე დირექტივის განხორციელებას დაიწყებენ. ეს ზოგიერთ მათგანს ძალიან ძვირად დაუჯდება. საბოლოო ჯამში შეიძლება, სიცოცხლის ფასადაც კი. ეს იქნება წმინდა ქართული პასუხები და მათ ამ გზაზე წასვლას არ ვურჩევდი“, — განაცხადა მელაშვილმა.**

**როგორც ცნობილია, გივი თარგამაძემ ირინა სარიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში განაცხადა, რომ დეპუტატი გოჩა ჯოჯუა ნატოში საქართველოს გაერთიანების მნიშვნელობას ეჭვქვეშ აყენებს, მასთან „უნისონში კი ირაკლი მელაშვილი და აკაკი ასათიანიც საუბრობენ“.**

**თარგამაძემ ირინა სარიშვილთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ „სარიშვილს რუსეთიდან ფული საქართველოში მავნე საქმეებისთვის შემოჰქონდა, რაც სამშობლოს ღალატის ტოლფასია“.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 23. ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 2007 წელი.

ცხინვალში შესაძლოა შეიარაღებული დაპირისპირება თავად ოსებს შორის მოხდეს, რადგან დიდია იმათი რიცხვიც, ვინც საღად აზროვნებს და მომწიფებულია სიმართლის სათქმელად. ამის ალბათობა 70 პროცენტზე მეტია...

№ 23. ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 2007 წელი.

ინფორმაცია

## ქავთარაძისაგან განმარტებებს ითხოვენ

დეპუტატები გია თორთლაძე და გია ცაგარეიშვილი დეპორტირებულთა საქმეების შემსწავლელ საპარლამენტო კომისიაში იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის მისვლასა და სტრასბურგის სასამართლოში სარჩელის შეტანის საკითხთან დაკავშირებით განმარტებებს ითხოვენ.

როგორც ცაგარეიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გია ქავთარაძე გაზეთ „რეზონანსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ იუსტიციის სამინისტროს არა აქვს საკმარისი მტკიცებულებები და სარჩელს მხოლოდ მაშინ შეიტანს, როდესაც პროცესის მოგებაში იქნება დარწმუნებული.

ცაგარეიშვილის თქმით, საინტერესოა, რა დამატებითი მტკიცებულებებია საჭირო და ვისგან ელოდება ქავთარაძე ამ მტკიცებულებებს.

„ალბათ კიდევ მეტი დეპორტირებული და გარდაცვლილია საჭირო“, — აღნიშნა დეპუტატმა.

დეპუტატები მიიჩნევენ, რომ სარჩელის შეუტანლობა კიდევ ერთი ჯაჭვია იმ რგოლისა, რომელიც სტრასბურგში რუსეთ-საქართველოს სარჩელთან დაკავშირებით დებატების გადადებით დაიწყო.

ამასთან, დეპუტატები აღნიშნავენ, რომ არ აპირებენ კომისიის დატოვებას, რადგან კომისიას მხოლოდ ერთი სხდომა დარჩა ჩასატარებელი. თუმცა, მათივე თქმით, მათ შეუძლიათ, კომისიის დასკვნას ხელი მოაწერონ ან არ მოაწერონ.

ამასთან, დეპუტატები მიიჩნევენ, რომ თუ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი არ შევა, ეს ქვეყნისთვის ღირსების აყრის ტოლფასი იქნება.

„ღირსებაშელახული ერი კი არც ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში არ სჭირდებათ“, — მიიჩნევენ ცაგარეიშვილი და გია თორთლაძე.

ინტერპრესნიუსი

## შეხვედრები უშედეგოდ დამთავრდა

რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტროსა და საქართველოს ტრანსპორტის ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლებს შორის მოსკოვში გამართული მოლაპარაკებები სამუშაო ჯგუფის შექმნის შეთანხმებით დასრულდა.

როგორც ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო ავიაციის ტრანსპორტის სამინისტროს სახელმწიფო პოლიტიკის დირექტორმა გენადი ლოშჩენოვმა განუცხადა, არანაირ დოკუმენტზე ხელი არ მოწერილა.

მხარეების მიერ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე უახლოეს პერიოდში მოხდება ავიაკომპანიების მიერ დაგროვილი ვალების შედარება.

რუსული მხარის ცნობით, ქართულმა ავიაკომპანიებმა რუსეთის მიმართ 3,6 აშშ მილიონი დოლარი ვალი დააგროვეს.

ლოშჩენოვის თქმით, სამუშაო ჯგუფის საქმიანობის პირველი შედეგების განხილვა მიმდინარე თვის ბოლოს იქნება შესაძლებელი.

მისივე განმარტებით, მოლაპარაკებისას საჰაერო მიმოსვლის აღდგენის საკითხი არ განხილულა.

[illegible]

კონფლიქტის ზონა

# მუცლის ტიფიდან დაწყებული სისხლისღვრა

## ცხინვალელ ოსებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების ალბათობა 70 პროცენტია

(მესამე გვერდიდან)

ყოველ ადამიანს თავისი ფილოსოფია აქვს. 56 წლის ასაკში გავიგე, რომ ჩემს დიდ წინაპარს ქართველი მეუღლე, ნინო მჭედლიძე ჰყოლია ცოლად. ჰოდა, განა რა გვაქვს გასაყოფი, ნუთუ მხოლოდ ის არის ნამდვილი ოსი, ვინც თავს ყველა ქართველის მტრად მიიჩნევს?! არადა, ძალიან ბევრი დანაშაული ხდება ამის ნიადაგზე! ტელევიზიით ვნახეთ, რა ხდება რუსეთში, როცა ერთი ქართული სიტყვისთვის ადამიანებს ხოცავენ. სწორედ ეს არის ბოროტება, სადიზმი და ფაშიზმი! ჩვენ არ გვაქვს სხვა გზა, ერთი სახელმწიფოს საზღვრებში თანაცხოვრების გარდა, რომელსაც ჰქვია საქართველო. როგორც უნდა მინდოდეს, (თუმცა, მე ეს სულაც არა მსურს), სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, ეს წარმოუდგენელია პოლიტიკურად, იურიდიულად. მაგრამ, როდესაც კოკოითი, რუსეთის დესტრუქციული ძალების კარნახით, ეუბნება ხალხს, რომ ისინი დამოუკიდებლობისკენ მიდიან და ცხინვალელთა ნაწილს მისი სჯერა, გული მტკივა და მწყინს, რომ ვერავინ იმაღლებს ხმას — ტყუილია, ტყუილიო, რადგან ტყუილზე დიდი ცოდვა განა რა არის? მომაკვდინებელი ცოდვაა, როცა ვინმე თავის ტანჯულ, ომგამოვლილ ერს ატყუებს!

არ ვადანაშაულებ კოკოითს იმაში, რომ რუსული ფულის „გარეცხვით“ გახსნა საბანკო ანაბრები.

ალალი იყოს!

მე მას ხალხის მოტყუებაში ვადანაშაულებ, მას თავისი „სიმართლის“ გასამყარებელ არგუმენტებად ისეთი ადამიანების სახელები მოჰყავს, როგორიცაა, ვთქვათ, ზატულინი. მას და მისგვარ რუს პოლიტიკოსებს არ ადარდებთ ქართველი და ოსი ხალხების ტანჯვა. ისინი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობენ...

**— როგორ შეაფასებდით დღევანდელ ვითარებას ცხინვალის რეგიონში?**

— არაფრის მომცემია იმისი გარკვევა, თუ ვინ ისროლა პირველმა... ახლა მთავარია იმის გარკვევა, თუ საიდან იღებს ტრაგედია სათავეს, რადგან შედეგების განხილვა და განსჯა არაფერს მოგვიტანს. მთავარია, ამ ყველაფრის მიზეზს ვუწამლოთ!

**— მერედა, რა არის ამის წამალი?**

— ასეთი მხოლოდ სიმართლეა. აუცილებლად ობიექტურად უნდა შევაფასოთ 1991-92 წლების მოვლენები. ეს ჩვენი საშინაო, ქართულ-ოსური პრობლემაა და მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის სცენარი თბილისიდან სამი ათასი კილომეტრის დაშორებით, რუსეთში დაიწერა, დამნაშავენი მაინც ოსები და ქართველები ვართ! ჩვენ არ გვეყო სულიერი ძალები იმ დაავადებასთან საბრძოლველად, თავს რომ მოგვახვიეს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გაირკვევა. მჯერა, ამით საქართველოს ხელისუფლებაცაა დაინტერესებული. ოსებთან და აფხაზებთან ურთიერთობა ისტორიის ერთი ფურცელთაგანია. მაგრამ ვერაფერი შეფასდება, შემწყნარებლურად, მოთმინებით თუ არ ვისაუბრეთ, ერთი მიზნით თუ არ გავერთიანდით, თუ არ შევრიგდით, რათა დავადგინოთ ჭეშმარიტება.

მანამდე კი მრავალი ფურცლის გადაშლა მოგვიწევს. ჩვენ უნდა გავხდეთ თაობა, რომელიც ძლიერ, მშვენიერ საქართველოს შექმნის. სიმართლე მომავალ თაობებს სჭირდებათ, თორემ ჩვენ ის ყველამ ვიცით. ახლა ამ სიმართლის საჯაროზე გამოტანა არის საჭირო.

**— ბატონო ვლადიმერ, როგორ ფიქრობთ, რას მოუტანს შარშანდელი არჩევნები რეგიონის მოსახლეობას, ოსებსაც და ქართველებსაც? ამ არჩევნებს ხომ იურიდიულად არავინ არ აღიარებს?**

— 2005 წლის აპრილში, როცა საქართველოს მოქალაქეობა მივიღე, გავანეიტრალე ცხინვალში დაგროვილი საპროტესტო, აფეთქებების საშიში ენერგია. იქ არის ხალხი, ვინც აანალიზებს სიტუაციას და ხვდება, რომ არსებულ რეჟიმს ისინი „არსაითკენ“ არ მიჰყავს და რომ კოკოითი ტყუილებით დიდ ფინანსურ კაპიტალს აგროვებს. ჩვენს არჩევნებს ალტერნატიულს არ ვუწოდებ. ეს ნამდვილი არჩევნები იყო მთელი რეგიონის მასშტაბით, ხოლო კოკოითისა — მარტო ცხინვალს მოიცავდა. მოშორებული სოფლების მოსახლეობას არ ჰქონდა საშუალება დაეფიქსირებინა თავისი ნება, ინფორმაციის უქონლობის გამო.



ჩვენმა არჩევნებმა ერთგვარად კი განმუხტა ვითარება, მაგრამ ყველაზე მეტად მაშფოთებს ის, რომ ცხინვალში შესაძლოა შეიარაღებული დაპირისპირება თავად ოსებს შორის მოხდეს, რადგან დიდია იმათი რიცხვიც, ვინც საღად აზროვნებს და მომწიფებულია სიმართლის სათქმელად. ამის ალბათობა 70 პროცენტზე მეტია...

მინდა ყველამ იცოდეს, რომ თუ დღეს რაიმე კეთდება რეგიონში, კეთდება იქ მცხოვრები თითოეული ადამიანისათვის, ქართველი იქნება ის თუ ოსი. ჩვენი მთავრობა დაკომპლექტდა კომპეტენტური, ადამიანების ღირსების პატივისმცემელი ხალხით. ცხინვალის ხელისუფლებისგან განსხვავებით, არავინ გვყავს ჩამოყვანილი რუსეთიდან ან სხვა ქვეყნებიდან. თითოეულ ჩვენგანს გული შესტკივა და ზრუნავს ადგილობრივ მოსახლეობაზე.

**— როგორი ცხინვალის ნახვას ისურვებდით უახლოეს მომავალში?**

— ჩემი სურვილია ცხინვალი იყოს უფრო ლამაზი, მშვენიერი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ჩემთვის მთავარია, ყველა ადამიანმა მიიღოს სიკეთე, იცხოვროს მშვიდობასა და კეთილდღეობაში, თავისი ენერგია მოახმაროს მშობლიური კუთხის აყვავებას. ძლიერი საქართველო და ძლიერი ცხინვალის რეგიონი — ეს არის ჩემი ოცნება! ამაზე მეტად არაფერი მინდა...

ესაუბრა
**მაია ბურდული**

არის ასეთი აზრიც

# ყარსი-ართაან-ვალეს მაგისტრალი ხომ არ აჯობებდა?

**მეზობლის მიერ ყარსი-ახალქალაქ-თბილისის პროექტის რეალიზების საკითხის სპეკულაციის საგნად ქცევის გამო, საქართველოსათვის არსებითად მნიშვნელოვანია, რომ იმის ანალოგიურად, როგორც ეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანისას მოხდა, ახალქალაქის რეგიონს გვერდი ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალმაც აუაროს.**

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის ძირითადი ნაწილი, ფაქტობრივად, უკვე არსებობს და იგი თურქეთის საზღვართან, სახელდობრ, ვალესთან მთავრდება. ვალესა და ყარსს შორის კი, ართაანის გავლით, როგორც ცნობილია, ასევე უკვე არსებობს მათი შემაერთებელი საავტომობილო გზა, რომელზეც სავსებით შესაძლებელია იმავე მარშრუტის (ყარსი-ართაან-ვალეს) რკინიგზის ხაზის გაყვანა, რითაც ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი დასრულებულ სახეს მიიღებს, ანუ აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაკავშირებელი ახალი სატრანსპორტო დერეფნის გაყვანა დამთავრდება.

რადგანაც ყარსი-ახალქალაქ-თბილისის რკინიგზის ხაზთან შედარებით ყარსი-ართაან-ვალეს რკინიგზა საგრძნობლად უფრო მოკლე იქნება, ამიტომ მისი გაყვანაც, შესაბამისად, უფრო იაფი დაჯდება.

ამასთან შესაძლებელი გახდება, რომ თბილისი-ახალქალაქ-კრწანისის რკინიგზის ხაზის მშენებლობისათვის აზერბაიჯანის მიერ საქართველოსთვის ერთობ ხელსაყრელი პირობებით სესხად გამოყოფილი 200 მილიონი დოლარი თბილისი-ვალეს რკინიგზის გამტარუნარიანობის მნიშვნელოვნად ამაღლების უზრუნველყოფისათვის საჭირო სამუშაოებს მოხმარდეს.



ისიც სათქმელია, რომ ყარსი-ართაან-ვალეს რკინიგზის არსებობა, იმის მაცდურ შესაძლებლობასაც იძლევა, რომ არდაჰან-ართვინ-ხოფის (ან რიზესძ რკინიგზის გაყვანით აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთებელ ახალ სატრანზიტო დერეფანში გარკვეულწილად თურქეთის შავი ზღვის სანაპიროც ჩაერთოს. ეს კი, ბუნებრივია ამ დერეფანში ტვირთბრუნვას და მის, შესაბამისად, ფინანსურ შემოსავლებსაც საგრძნობლად გაზრდის.

ბაქო-თბილისი-ვალე-ართაან-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის ფუნქციონირება, სხვათა შორის, იმითაც იქნება სასიკეთო, რომ მის მიმდებარე ტერიტორიულ არეალში მძლავრი ბიძგი მიეცემა ტურისტული ინდუსტრიის, კერძოდ, უცხოური ტურიზმის ფართოდ განვითარებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ფინანსური შემოსავლების დიდმნიშვნელოვანი დამატებითი წყარო გახდება.

ამ სარკინიგზო მაგისტრალის ფუნქციონირება, რასაკვირველია, სხვა მრავალ პოზიტიურ შედეგებსაც მოიტანს და ახალ დიდად სასიკეთო პერსპექტივებსაც შექმნის, მაგრამ ეს თემა ცალკე განხილვის საგანია და ამჯერად მასზე არ შევჩერდები. მით უმეტეს, რომ მხოლოდ ზემონათქვამიც სრულიად საკმარისია იმის ცხადყოფისათვის, რომ ყარსი-ახალქალაქ-თბილისის რკინიგზას სრულფასოვანი და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, უხიფათო ალტერნატივა უდავოდ აქვს, რომლის გამოყენებაც აღმოსავლეთ-დასავლეთის ახალი სატრანზიტო დერეფნის სრულად, საიმედოდ და შეუფერხებლად ფუნქციონირებას სავსებით უზრუნველყოფს. ამიტომ მისი უგულებელყოფისათვის არავითარი საფუძვლიანი მოტივი არ არსებობს. მით უმეტეს, ყარსი-ახალქალაქ-თბილისის პროექტის რეალიზების წინააღმდეგ იმ აგრესიული განწყობის ფონზე, რომელიც ოფიციალურმა ერევანმა და ჯავახეთში მოქმედმა სომხურმა ორგანიზაციებმა სულ ახლახან საჯაროდ გამოაცხადეს.

**შალვა ფაჩულია,**
ისტორიკოსი

# დღევანდელობა •

**დადებული ხელშეკრულებით კმაყოფილნი ვართ ჩვენც და კმაყოფილია ინვესტორიც, რომელიც ხელშეკრულების პირობების შესრულებას უახლოეს პერიოდში დაიწყებს, რის შედეგად ქვეყნის ენერგოსექტორი გაცილებით უფრო მდგრადი გახდება**



◎ ენერგეტიკა

*— გაწეული მუშაობისთვის დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ჩვენს ჩეხ პარტნიორებს ბოლო ცხრა თვის განმავლობაში გაწეული მუშაობისთვის. ხელი მოეწერა მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომელთა მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დიდად წაადგება საქართველოს ენერგეტიკულ სექტორს, — აღნიშნა 5 თებერვალს სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტში“ გამართულ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ჩეხეთის სს „ენერგო-პროს“ შორის შესაბამისი დოკუმენტების ხელმოწერის საზეიმო ცერემონიაზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა.*

*ლაპარაკია საქართველოში ექვსი ჰიდროელექტროსადგურისა და ორი ელექტროსადისტრიბუციო კომპანიის აქტივების საპრივატიზაციო ხელშეკრულებაზე, რომელთა შესასყიდი ღირებულება 132 მილიონი დოლარია. აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გიორგი არველაძემ და ჩეხური კომპანიის „ენერგო-პროს“ დირექტორთა საბჭოს წევრმა ირჟი კრუშინამ. ხელმოწერის საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ ასევე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის სამინისტროების, „ენერგო-პროსა“ და „ჩეხ ექსპორტ ბანკის“ პასუხისმგებელი მუშაკები, ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში იოზეფ ვრაბეკი, მთავრობის წარმომადგენლები.*

# ენერგომდგრადობის სათავეებთან

აღსანიშნავია, რომ სს „ენერგო-პრო“ ჩეხეთის რესპუბლიკაში აგრძელებს ელექტროენერგიის წარმოების ტრადიციებს, მისი ინტერესების სფერო კი ჰიდროტურბინების წარმოება და ჰესების მშენებლობაა. საკუთარ ქვეყანაში კომპანია 11 ჰიდროელექტროსადგურს ფლობს. ახლახან საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულება იმას მოწმობს, რომ სს „ენერგო-პრო“ ასევე დაინტერესებულია საზღვარგარეთ ახალი ბაზრების მოპოვებით. კერძოდ, მას მნიშვნელოვანი კომერციული ინტერესები აქვს ბულგარეთში, სადაც ქვეყნის პრივატიზებული ჰესების სიმძლავრის 40 პროცენტს ფლობს. საგულისხმოა ასევე, რომ 300 მილიონი ევროს საბაზრო აქტივების მფლობელ სს „ენერგო-პროს“ განსაკუთრებული ინტერესების სფეროს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნები წარმოადგენს.

საქართველოში „ენერგო-პროს“ ჯგუფის პროექტი განხორციელდება სახელმწიფოს კუთვნილი „ჩეხ ექსპორტ ბანკის“ მხარდაჭერით, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია აფინანსებს მის საერთაშორისო საქმიანობას.

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ სამუშაო პერიოდში სს „ენერგო-პროს“ სპეციალისტებმა დიდი დრო დაუთმეს თითოეული ზემოჩამოთვლილი კომპანიის ფინანსური და იურიდიული აუდიტის ჩატარებას, ასევე მენეჯმენტის დაწვრილებით შესწავლას. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ სს „ენერგო-პროს“ პასუხისმგებელი მუშაკები სავსებით კმაყოფილნი არიან საქართველოს მთავრობის მიერ ენერგეტიკის სექტორში გატარებული რეფორმებით.

**„აღსანიშნავია ისიც, რომ USAID-ის ფინანსური ხელშეწყობით „გაერთიანებულ ენერგოსადისტრიბუციო კომპანიაში“ მუშაობდნენ PA Consulting-ის სპეციალისტები. ამ რეფორმების შედეგად ენერგოსექტორი მიმზიდველი გახდა უცხოელ ინვესტორთათვის მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებების განსახორციელებლად“,** — ნათქვამია ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ხელშეკრულების პირობების განხორციელების შემდეგ ენერგოსექტორში პრივატიზების პროცესი მთლიანად დასრულდება. სახელმწიფო მფლობელობაში მხოლოდ მაღალი ძაბვის გადაცემის ხაზები დარჩება, რომლებიც არ გასხვისდება.

— ენერგოდისტრიბუციის სფეროში, ასევე ახალი ჰესების მშენებლობაში, მნიშვნელოვან ინვესტიციებს ველით. თავდაპირველად შეთანხმებული 312 მილიონ დოლარზე ვიყავით, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა შევსებულიყო. მაგრამ იმის გამო, რომ ეს ელექტროენერგიის ტარიფის ზრდას გამოიწვევდა, რაც არა მარტო სადღეისოდ, არამედ მომავალშიც ზედმეტი ტვირთი იქნებოდა როგორც მოსახლეობისთვის, ასევე მთლიანად ეკონომიკისათვის, ვინაიდან ეკონომიკური ზრდის ტემპებს შეანელებდა, ამიტომ არჩევანი ყველაზე მისაღებ ფორმაზე შევაჩერეთ. კერძოდ, ეს გახლავთ, საბოლოო ანგარიშით, 427 მილიონი დოლარი, რომელიც შემდეგნაირად დაიყოფა: კერძოდ, ეს არის უშუალოდ, ბიუჯეტის შემოსავალი, არსებულ აქტივებში ინვესტიციები და, როგორც აღვნიშნეთ, ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

ხაზი მინდა გავუსვა, რომ დადებული ხელშეკრულებით კმაყოფილნი ვართ ჩვენც და კმაყოფილია ინვესტორიც, რომელიც ხელშეკრულების პირობების შესრულებას უახლოეს პერიოდში დაიწყებს, რის შედეგად ქვეყნის ენერგოსექტორი გაცილებით უფრო მდგრადი გახდება, — აღნიშნა ზურაბ ნოღაიდელმა.

დამსწრეთა წინაშე სიტყვით გამოვიდა ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, რომელმაც ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით კმაყოფილება და წარმატებული თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

* * *

**აქვე აღსანიშნავია, საქართველოს პარლამენტის ოპოზიციური ფრაქცია „მრეწველების“ წევრის გია ცაგარეიშვილის განცხადება, რომელიც ენერგეტიკის მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზების პროცესს „გაურკვევლად და გაუმჭვირვალედ“ აფასებს. მისი თქმით, გაურკვეველია როგორც პრივატიზების პირობები, ასევე მასთან გაწეული შეღავათები.**

**პარლამენტარი აღნიშნავს, რომ გაურკვეველია პრივატიზებულ ობიექტებში ამჟამად დასაქმებულთა მომავალი, პირველი ტრანშის მიღების დრო, მრავალი სხვა საკითხი.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ინფორმაცია თემაში

**132 მილიონი დოლარის გადახდის შემდეგ, სს „ენერგო-პროს“ მფლობელობაში გადავა 350 მეგავატზე მეტი ელექტროენერგიის წარმოების სიმძლავრე და ელექტროდისტრიბუციის ქსელი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით ორ მესამედს ფარავს. ამით სს „ენერგო-პრო“ საქართველოს ენერგობაზარზე ერთ-ერთი უმსხვილესი მონაწილე გახდება.**

**როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სს „ენერგო-პრომს“ შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს ექვს ჰიდროელექტროსადგურისა და ორი ელექტროსადისტრიბუციო კომპანიების აქტივების გადაცემას. ესენია, კერძოდ:**

**ლაჯანურჰესი — 113 მეგავატის დადგმული სიმძლავრე;**
**რიონჰესი — 48 მეგავატის დადგმული სიმძლავრე;**
**გუმათჰესი — 67 მეგავატის დადგმული სიმძლავრე;**
**შაორჰესი — 39 მეგავატის დადგმული სიმძლავრე;**
**ძევრულჰესი — 80 მეგავატის დადგმული სიმძლავრე;**
**აწჰესი — 16 მეგავატის დადგმული სიმძლავრე.**
**საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია — 780 ათასი მომხმარებელი;**
**აჭარის ენერგოკომპანია — 95 ათასი მომხმარებელი.**

◎ ინფორმაცია

## შეღავათი ინვალიდ ადვოკატებს

**საქართველოს რეგიონებში მომუშავე და ინვალიდ ადვოკატებს 2007 წლიდან საწევრო გადასახადი გაუნახევრდათ. დადგენილი 200 ლარის ნაცვლად ისინი თავიანთ ბიუროებში წელიწადში 100 ლარს შეიტანენ.**

**ამის შესახებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ კახა ასლანიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**მისივე თქმით, გადაწყვეტილება ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო, რაც რეგიონებში ბიუროებისადმი მოსახლეობის მიმართვიანობას გაზრდის.**

**ასლანიშვილი ადვოკატებისათვის დაბეგვრის განსაკუთრებული რეჟიმის დაწესებასაც ითხოვს.**

**„ადვოკატის საქმიანობა არ უნდა იყოს გათანაბრებული ჩვეულებრივ მეწარმესთან. ამას მეწარმეთა შესახებ კანონის მესამე მუხლიც ადასტურებს. მოვითხოვთ გარკვეული გადასახადების შემსუბუქებას“, — აცხადებს ასლანიშვილი.**

## შეღავათები სოციალურად დაუცველ ფენას

**სოციალურად დაუცველ მოსახლეობას საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია მნიშვნელოვან შეღავათებს სთავაზობს. კერძოდ, ყოველთვიური 4-ლარიანი სააბონენტო გადასახადის ნაცვლად, მარტოხელა პენსიონერები, მარჩენალდაკარგულები, პირველი ჯგუფის ინვალიდები და უსინათლოები 90 თეთრს გადაიხდიან.**

**ხოლო ის აბონენტები, რომელთაც თვეში 3-ლარიანი სააბონენტო გადასახდი აქვთ, ამიერიდან 70 თეთრს გადაიხდიან.**

**შეღავათები წუთობრივ გადასახადებსაც შეეხო. უსინათლო ინვალიდებს თვეში 400 წუთი უფასოდ საუბარი შეუძლიათ, მარჩენალდაკარგულებს, მარტოხელა და დაბადებიდან ინვალიდებს კი — თვეში 100 წუთი.**

**შეღავათები ძალაში 2007 წლის 1 იანვრიდან შევიდა.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ ქუთაისი წყვდიადში

# გუბერნატორებსა და მერებს ხშირად ცვლიან, მრიცხველებს — ერთხელაც ვერა

*— ყოველი თვის ბოლო კვირა თითოეული ჩვენგანისათვის წამებად იქცა, — შესჩივლეს საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდიუმს ქუთაისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, საფიჩხიაზე, ირაკლი ბაზაძის ქუჩაზე მცხოვრებლებმა. — გაუფრთხილებლად, წინასწარ შეუტყობინებლად გვითიშავენ დენს და მანამდე გვამყოფებენ პირველყოფილ წყვდიადში, ვიდრე ინდივიდუალური მრიცხველების გარეშე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობას არ „დაადგენენ“ და მოსახლეობას არ წაართმევენ საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ დაწესებულ ხარკს — ვითომდა, ინდივიდუალური მრიცხველების გარეშე მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებას.*

*ამ უკანონობას, რომელიც წლების მანძილზე გრძელდება, მრავალი უსიამოვნო შედეგი მოსდევს.*

ჩაბნელებულ ქუჩაზე, რომელიც წლების განმავლობაში სრულიად მივიწყებული და დახრამულია, ძალზე ხშირია სერიოზული ტრავმების შემთხვევები. ამასთან, ყოველივე ეს სულიერადაც სპობს ადამიანებს. მით უფრო, რომ გამორთული ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენა ჰქმნის სხვადასხვა მაქინაციის, მათ შორის კორუფციულ გარიგებათა ხელშემწყობ გარემოს. ამასთან, ხელს უწყობს მეზობლების დაპირისპირებას და ამით ქალაქში არაჯანსაღი სიტუაციის შექმნას. ეს მით უფრო სათქმელია, რომ საერთო მრიცხველებით ყოვლად შეუძლებია თითოეული მოსახლის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის არათუ ზუსტი, არამედ მიახლოვებითი დადგენაც კი, რაც უმუშევრობითა და უსახსრობით გაწამებულ ადამიანებში მრავალ გაუგებრობას, მათ შორის მწვავე კონფლიქტური სიტუაციების შექმნასაც იწვევს.

უყურადღებობითა და უშუქობით გაწამებულ ქუჩას „ელექტრომამები“ მათ მიერვე დამონტაჟებული და ადრე დიდად ნაქები, ამჟამად კი რატომღაც უვარგისად გამოცხადებული მრიცხველების შეცვლას და ხელახლა გამრიცხველიანობას ჯერ კიდევ 2 წლის წინათ პირდებოდნენ — სულ ბოლოს 2006 წლის სექტემბრამდე, მაგრამ არც ირაკლი ბაზაძისა და არც ბევრ სხვა ქუჩაზე ეს დაპირება დღემდე არ შესრულებულა და ელექტროკომპანია მოსახლეობას ფულს უკანონოდ ძალავს.

შემთხვევით არა ვართ კატეგორიულები, როდესაც ვამბობთ, რომ საერთო მრიცხველით ფულის აკრეფა უკანონობაა.

გვაქვს ამის უტყუარი საბუთი — სამართლებრივი დოკუმენტი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც მოპასუხის — სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ წარმომადგენლის მონაწილეობით ჯერ კიდევ 2 წლის წინათ განიხილა მოქალაქე ქებარ გრძელიშვილის სარჩელი, გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნა და საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას დაავალა, რომ ამ აბონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დარიცხვა მომხდარიყო მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური მრიცხველების საფუძველზე.

სამწუხაროდ, სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან „ელექტრომამებს“ სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ და დღემდე არ აღკვეთილა ის უკანონობა, რომელიც არა მარტო ირაკლი ბაზაძის, არამედ ბევრი სხვა ქუჩის მოსახლეობისათვის ჩვეულებრივ ამბად იქცა.

საზოგადოება „ქუთაისელმა“ ამ პრობლემაზე შემთხვევით არ გაამახვილა „საქართველოს რესპუბლიკის“ ყურადღება. დარწმუნებულნი ვართ, რომ გაზეთი, რომელიც თავისი პრინციპულობით გამოირჩევა, გაითავისებს იმ ქალაქის მოსახლეობის სატკივარს, რომელსაც არცთუ ურიგო მერები ურიცხვჯერ მოუხსნეს, „ელექტრომამების“ მიერ დადგმული უვარგისი მრიცხველები კი — დღემდე ვერც მოუხსნეს და ვერც შეუცვალეს.

**ალექსანდრე შენგელია,**
**საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდიუმის წევრი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე.**
**„სრ“ საკ. კორ.**

# გუშინ და დღეს

**ამრიგად, აბსოლუტურმა მონარქიამ ძლიერი დაბრკოლებები შეუქმნა ადამიანთა მისწრაფებას პოლიტიკური თავისუფლებისაკენ. არანაკლები დაბრკოლებები შეუქმნა მას კათოლიციზმის სულიერმა დესპოტიზმმა (ასეთი დესპოტიზმი გაცილებით ნაკლები ხარისხით იყო მართლმადიდებლობაშიძ.**



## მეცნიერული ძიება

# პიროვნების თავისუფლება

ინდივიდუალიზმისა და თვითმმართველობის ასეთი საწყისები მთლიანად ეწინააღმდეგებოდა რომის საჯარო სამართლის ხელისუფლებას. როგორც სახალხო თვითმპყრობლობა, ისე იმპერატორული, სრულიად არ უშვებდა სახელმწიფოში ცალკეული პირებისა თუ გარკვეული ჯგუფების დამოუკიდებლობას. სწორედ ამიტომ, როდესაც განხორციელდა რომის სამართლის რეცეფცია ევროპულ ქვეყნებში, მეფის ხელისუფლება შეეცადა, რომაული პატრიოტიზმის იდეასთან ერთად იგი აბსოლუტური მონარქიის დამკვიდრებისათვის გამოეყენებინა. ამ მიმართებით განსაკუთრებით წარმატებული იყო საფრანგეთი. მეფის ხელისუფლებამ შეძლო მარჯვედ გამოეყენებინა ხალხის მისწრაფება პოლიტიკური ერთიანობისაკენ დამქანცველი ომების (მათ შორის – ასწლიანი ომისძ შემდეგ და დაიწყო სამეფო აბსოლუტიზმის იდეების ქადაგება ეროვნული ერთიანობისა და სიმტკიცის დროშით. ამ იდეების მომხრეთა საყვარელი ლოზუნგი იყო საფრანგეთში ერთი რწმენის, ერთი კანონის და ერთი მეფის არსებობა. ამ გზით განხორციელდა მეფის ნებისა და კანონის ნების გაიგივება: რაც სურს მეფეს, ის სურს კანონსაც. აქედან გამომდინარე ლუი XIV-ს მართლაც შეეძლო ეთქვა L'etat c'est moi! (სახელმწიფო, ეს მე ვარ!ძ. ამის გათვალისწინებით ცხადია, აბსოლუტიზმის ეპოქაში (XVIII-XVIII საუკუნეებიძ პიროვნების თავისუფლების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ადამიანი, ფაქტობრივად, წარმოადგენდა ობიექტს და არა სუბიექტს სამართლისა. მისი როლი პასიური იყო. მას ევალებოდა დამორჩილებოდა ხელისუფლების განკარგულებებს; მისი თვითნებობის წინააღმდეგ კი არავითარი გარანტიები არ გააჩნდა.

ამრიგად, აბსოლუტურმა მონარქიამ ძლიერი დაბრკოლებები შეუქმნა ადამიანთა მისწრაფებას პოლიტიკური თავისუფლებისაკენ. არანაკლები დაბრკოლებები შეუქმნა მას კათოლიციზმის სულიერმა დესპოტიზმმა (ასეთი დესპოტიზმი გაცილებით ნაკლები ხარისხით იყო მართლმადიდებლობაშიძ. თუ ქრისტიანობამ თავის დროზე რომში ძირი გამოუთხარა ადამიანთა ცნობიერებაში ცეზარიზმისა და უძლეველი სახელმწიფოსადმი მორჩილების იდეის ბატონობას, კათოლიკური ეკლესიის სახით იგი გადაიქცა უმკაცრეს დოგმატიკად, რომელი განხილვასა და გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რეფორმატორული იდეები პირველად გაცხადდა სწორედ რწმენის, ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის საკითხებში. რეფორმაცია დაეყრდნო გერმანულ-ფეოდალურ ინდივიდუალიზმს, რომელიც მთლიანად დათრგუნა აბსოლუტიზმმა და კათოლიციზმმა. რეფორმაციამ უარყო „ქრისტეს შუამავლების" ხელისუფლება, მათდამი მორჩილება და გააცხადა სინდისის თავისუფლება. ეს, არაპირდაპირ, აბსოლუტიზმისათვის ჩაცემული ლახვარიც იყო; ვინაიდან, თუ დადგინდებოდა ადამიანის უფლება თავისი სინდისის შესაბამისი რწმენა ჰქონოდა, თუ სასულიერო თემობის ორგანიზაციები თავისუფალი იქნებოდნენ, იმავდროულად დაშვებული უნდა ყოფილიყო შეკრებების (რელიგიური თუ სხვ.ძ, სიტყვის, აღზრდის, განათლებისა და სხვა თავისუფლებები. მართალია რეფორმატორული იდეების მქადაგებლები (მათ შორის, მარტინ ლუთერიძ ასე შორს არ მიდიოდნენ, მაგრამ ეს პრინციპები აუცილებლად უნდა გასულიყვნენ და გავიდნენ კიდევაც რელიგიური სფეროს ფარგლებიდან პოლიტიკურ ურთიერთობის სფეროში. ეს ყველაზე ადვილად ინგლისში განხორციელდა, რამდენადაც რელიგიური ინდივიდუალიზმის მოძღვრება აქ ხელსაყრელ ნიადაგზე მოხვდა. პარლამენტსა და სტიუარტებს შორის პოლიტიკური ბრძოლა და



რეფორმატორული მოძრაობა ერთმანეთს შეერწყმა და რევოლუციაში დაიბადა. ეს ადამიანის უფლებათა ახალი მონაპოვრით დაგვირგვინდა. ინგლისში მიღებული ორი დოკუმენტი – ჰაბეას კორპუსის აქტი (Act of Habeas Corpus – 1679) და უფლებათა ბილი (Bill of Rights – 1689) ადამიანის ძირითად უფლებათა განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა. პირველმა მათგანმა შექმნა სასამართლო კონტროლის ეფექტიანი გარანტია უკანონო დაპატიმრების წინააღმდეგ. მეორემ კი დაადგინა მეფისათვის პეტიციით მიმართვის უფლება. ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში ადამიანის დაპატიმრება და დევნა უკანონოდ ჩაითვლებოდა და უნდა შეჩერებულიყო მეფის მიერ პეტიციის განხილვამდე.

ინდივიდუალიზმის იდეამ, რომელიც მე-XVI საუკუნის რეფორმატორულმა მოძრაობამ დაბადა და ინგლისურ რევოლუციაში განხორციელდა, თავისი შემდგომი დადასტურება და განვითარება ჰპოვა ბუნებით სამართალსა და ფილოსოფიაში. შეიქმნა უზარმაზარი ლიტერატურა საზოგადოებრივი ხელშეკრულების, ადამიანის ბუნებითი უფლებების შესახებ. ეს იდეები გაბატონდა მე-XVIII საუკუნის საზოგადოებრივ მოღვაწეთა ცნობიერებაში. ბუნებითი სამართლისა და ბუნებითი უფლებების შესახებ ჯონ ლოკის, ვონ ქრისტიან ვოლფის, სერ უილიამ ბლეკსტონის, რუსოსა და სხვათა მიერ შექმნილი მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს **ჰიპოთეზა პიროვნების აბსოლუტური დამოუკიდებლობის შესახებ. ადამიანები დაიბადნენ სრულიად თავისუფალნი და თანასწორნი; სახელმწიფოდ გაერთიანებისას მათ სახელმწიფოს გადასცეს თავიანთი ხელისუფლების გარკვეული ნაწილი, რათა მას დაეცვა მათი დარჩენილი თავისუფლება. ამიტომ სახელმწიფოს (ხელისუფლებისძ მიზანია პიროვნების თავისუფლების დაცვა.**

ამ იდეების ყველაზე ნათელ აღიარებასა და გამარჯვებას წარმოადგენდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ამ რევოლუციის შედეგად მიღებული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია" (Seclaation das droits de l'homme et du citoyen). 1786 წლის 26 აგვისტოს მიღებული ეს დეკლარაცია ყველაზე პირველი დოკუმენტია ევროპაში ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობას რომ აღიარებს. „ადამიანები იბადებიან თავისუფალნი და თანაბარი უფლებებით და ასეთებად რჩებიან. საზოგადოებრივი განსხვავებანი მათ შორის შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონით (მ.1ძ. „თითოეული პოლიტიკური კავშირის მიზანია ადამიანის ბუნებითი და ხელშეუვალი უფლებების დაცვა. ეს უფლებებია – თავისუფლება, საკუთრება, უსაფრთხოება და ძალადობისათვის წინააღმდეგობა" (მ.2ძ. დეკლარაციამ განმარტა თავისუფლების საზღვრები: „თავისუფლება ნიშნავს ყველაფრის კეთების უფლებას, რაც სხვას არ აყენებს ზიანს" (მ.4ძ.

თეორიებმა საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა და ბუნებითი უფლებების შესახებ უზარმაზარი გავლენა მოახდინა თანამედროვეთა ცნობიერებაზე და რეალურად გამოიწვია ყველაზე უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი რეფორმები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მე-XIX საუკუნეში კი მაქს მტირნერისა და ნიცშეს გაბატონებულმა თეორიებმა, ანარქისტების, როგორც უკიდურესი ინდივიდუალისტების ვნებით აღსავსე შეძახილებმა ახალი ელფერი შემატეს მოძღვრებას პიროვნების შესახებ, როგორც ერთადერთ რეალურ წყაროს ყოველგვარი სამართლისა, მორალისა და რელიგიისა, მიუხედავად მისი რაობისა თუ დოგმებისა.

პიროვნების თავისუფლების იდეა კიდევ უფრო განვითარდა შემდგომში; დამუშავდა პიროვნების თავისუფალი განვითარების, ადამიანის და სახელმწიფოს ურთიერთობის, ერთმანეთისადმი მათი უფლება-მოვალეობების ფარგლების საკითხები.

მაგალითად, ცნობილი მწერალი, პროფესორი **ესმეინი** 1903 წელს წერდა: „ცოცხალი ადამიანები, რომლებიც ქმნიან საზოგადოებას, არიან არსებები, რომლებსაც აქვთ ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა და უნარი, მართონ თავიანთი ქმედება. პოლიტიკური საზოგადოება ფუნქციონირებს მხოლოდ თავისი წევრების ინტერესებისათვის. უმთავრესი ინტერესი და ადამიანის უმთავრესი უფლება – ესაა შესაძლებლობა, თავისუფლად განავითაროს თავისი თვისებები. საუკეთესო გარანტია ამ განვითარებისა – ესაა პიროვნების უფლება, თავისი მიხედულებით წარმართოს იგი, თავისი ნებით, თავისი შიშითა და რისკით; მთავარია არ დაარღვიოს სხვათა უფლებები. პიროვნების თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფაში მდგომარეობს სწორედ სხვადასხვა თავისუფლებების აზრი. მათი პატივისცემის გარეშე პოლიტიკური საზოგადოება ვერ შესძლებს შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა და სახელმწიფო დაკარგავდა თავის აზრსა და არსებობის მიზეზს".

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ინგლისელი ფილოსოფოსისა და იურისტის **ჯონ სტიუარტ მილის** ტრაქტატს „თავისუფლების შესახებ", რომელიც დღესაც კლასიკურად ითვლება ამ საკითხში. იგი საუბრობს ინდივიდებთან მიმართებაში უკვე არა სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების ხელისუფლების ფარგლებზე. მან წინა პლანზე წამოწია **საზოგადოების წინაშე პიროვნების პასუხისმგებლობის ასპექტიც.** „ერთადერთი მიზანი, რისთვისაც სახელმწიფოს ან საზოგადოებას უფლება აქვს ჩაერიოს თავისი წევრის თავისუფლებაში, არის თვითდაცვა და სხვა პირისათვის ზიანის მიყენების აცდენა... პიროვნება პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე იმდენად, რამდენადაც მისი მოქმედება ეხება სხვა პირებსაც. მაგრამ თუ მისი მოქმედება შეეხება მხოლოდ თვითონ მას, მისი თავისუფლება შეუზღუდავი უნდა იყოს".

იგი ინდივიდურ თავისუფლებას ორ ნაწილად ჰყოფდა – შინაგან სფეროდ (სინდისი, აზრის, გრძნობის, შეხედულებებისა და სიმპათიების თავისუფლება, აზრის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლებაძ და გარეგან სფეროდ (საქმიანობის, პროფესიის, ცხოვრების წესის თავისუფლად არჩევის, მოქმედების თავისუფლება და სხვ.ძ.

ინგლისელი ფილოსოფოსი და სამართალმცოდნე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აზრისა და სიტყვის თავისუფლებას. მისი აზრით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დამღუპველია მაშინაც კი, როდესაც ეს ხდება საზოგადოების თანხმობით და, მით უფრო მაშინ, როდესაც ამას ხელისუფლება აკეთებს საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად. იგი მიიჩნევს, რომ ერთი ადამიანის იძულება, არ გამოავლინოს განსხვავებული შეხედულებები, ისეთივე დიდი ბოროტებაა, როგორც მთელი კაცობრიობის იძულება, რომ გაჩუმდეს.

**ევა გოცირიძე**

**(გაგრძელება იქნება)**

---

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 22.**

## ინფორმაცია

### შეღავათები დიდი ლიახვის მოსახლეობას

**საქართველოს მთავრობამ, პატარა ლიახვის ხეობის მაცხოვრებელთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვის მიზნით, გარკვეული ოდენობის თანხა გამოყო.**

**როგორც ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური განმარტავს, ენერგეტიკის ასიგნებების ფარგლებში, კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ თითოეულ აბონენტს მოხმარებული 100 კვტ ელექტროენერგიის საფასური დაუფინანსდება.**

**საერთო ჯამში, აღნიშნული პროექტისთვის, ენერგეტიკის სამინისტროს ასიგნებიდან, 148 ათასი ლარი გამოიყოფა.**

### მშენებლობის გეგმა შეცვალეს

**ლაგოდეხის რაიონში სპორტის სასახლის მშენებლობა, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია შპს „ჰიდრო" აწარმოებს, 2006 წლის სექტემბრის ბოლოს დაიწყო.**

**თავდაპირველად მშენებლობის ღირებულება დაახლოებით მილიონ 200 ათასი ლარით განისაზღვრა. დარბაზი 500 მაყურებელზე იყო გათვლილი.**

**როგორც ცნობილი გახდა, ცოტა ხნის წინათ სპორტის სასახლის პროექტემა გარკვეული ცვლილება განიცადა და დარბაზის სიდიდე 500-დან 300-მდე შემცირდა.**

**როგორც შპს „ჰიდროს" წარმომადგენელი სამუშაოთა მწარმოებელი ჟიული ლოლაძე აცხადებს, შენობის მშენებლობა 2007 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.**

**დღეისათვის თითქმის დასრულებულია საძირკველის ფუნდამენტის ბეტონსამაგრი სამუშაოები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომპანია აღნიშნულ სამუშაოებს ჯერჯეროზით საკუთარი ხარჯით აწარმოებს. ამის მიზეზია ის რომ სპორტის დეპარტამენტიდან თანხა ჯერ არ ჩარიცხულა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

### თელავის რაიონის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

**თელავის რაიონის მუნიციპალურ საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს.**

**გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს 23 წევრმა ფარული კენჭისყრით ამ თანამდებობაზე ლევან ახალაური აირჩია. ახალაური საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას ხელმძღვანელობდა.**

**თელავის მუნიციპალური საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ გოჩა მამაცაშვილმა გადადგომის შესახებ განცხადება 28 იანვარს დაწერა.**

**ინტერპრესნიუსი**

**გადმოცემით, ეს პირველი გლურჯიძე, ვინც გარდატენიდან გოდრით ჩამოიყვანეს, გაზარდეს და მერე გააბატონეს, უნდა იყოს ჯანა გლურჯიძე, რომელიც მართლაც ცხოვრობდა სოფელ სასირეთში, მაგრამ... ეს ლეგენდა ვერ გამართლდა, ისტორიულმა წყაროებმა გააბათილა.**



ეს ჩვენი ისტორიაა

# თავისუფლების რაინდი

სხვადასხვა ეროვნების პირთა გვარები, განსაკუთრებით ქართველებისა და სომხებისა, ერთი ფუძიდან რომ მომდინარეობს, რასაკვირველია, არც უჩვეულოა და არც შესაცხადებელი, რადგან ამ ორი ერის ენებში ბევრი სიტყვებია ერთმანეთში გადასული, მათ შორის ის სიტყვები, რომლებისგანაც წარმოშობილია მსგავსფუძიანი გვარები. გავიხსენოთ ორიოდე მაგალითი მაინც. ხელობის აღმნიშვნელი სიტყვა **ხარატი**-დან წარმოშობილია ქართული გვარიც და სომხურიც. ქართული – ხარატიშვილი, სომხური – ხარატიანი, მერებაშვილი – მერებიანი (მერები ერთგვარი თანამდებობა იყო სოფელში, წყალთა განმრიგეს, მერუეების თავკაცს ერქვაძ.

გარდა ამისა, წინა საუკუნეებში ესეც ხდებოდა, რომ სომეხი მოღვაწენი, უფრო კი სასულიერო პირნი, მეტადრე ტერტერები ეშმაკური მაქინაციებით ქართველებს ნათლავდნენ გრიგორიანელებად, სომხურ ეკლესიებში დიდი შეღავათი ჰქონდათ ქართველებს. გადასახადს არ ახდევინებდნენ, არც სხვა ხარჯებით აწუხებდნენ და გულუბრყვილო ქართველ გლეხებს თავიანთი შვილები მოსანათლად მიჰყავდათ სომხურ ეკლესიებში. ტერტერებიც უმალ ჩაუწერდნენ „ეროვნება – სომეხი“. ფაქტობრივად, ძალად ასომხებდნენ ქართველებს.

ეს პროცესები უმთავრესად ხდებოდა ქართლის სოფლებში, კერძოდ, შიდა ქართლში, მათ შორის გორისა და კასპის რაიონებში.

მაშ ასე, გვარი მაზნიაშვილის ფუძე არის სიტყვა **მაზმანი.**

ამ ფესვებს იმიტომ ჩავეძიეთ, რომ დიდ ქართველ გენერალს გიორგი მაზნიაშვილს გვარი რომ მაზნიევად უქციეს, ხან რუსი ჰგონიათ, ხან სომეხი. არადა, მის ძარღვებში ჩქეფდა თავანკარა ქართული სისხლი, რაც დადასტურდა თავისი დიდი ქართველობით და დიდი მამულიშვილობით, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლების დროს.

საქართველო იყო მისი საოცნებო სახელი. საქართველო, საქართველო, საქართველო უპირველეს ყოვლისა!

## სიყვარულმა ინება

სახელოვანი სარდლისა და დიდი მამულიშვილის მამა – ივანე გიორგის ძე მაზნიაშვილი სამხედრო პირი იყო, ოფიცერი, რახან რუსებმა თავიანთ ბრჭყალებში მოიქციეს, გვარი გადაუნათლეს და **მაზნიაშვილი მაზნიევად** აქციეს, ისე როგორც ციციშვილი – ციციანოვად, ბარათაშვილი – ბარატოვად, ორბელიანი – ორბელოვად, ამილახვარი – ამილახვაროვად, ჯავახიშვილი – ჯავახოვად და ასე შემდეგ. ესეც ბედის ბორბლის უკუღმა ტრიალი იყო.

ის სამხედრო ნაწილი, რომელშიც ივანე გიორგის ძე მაზნიევი მსახურობდა, მანგლისში იდგა. მასთან ერთად მსახურობდა, აგრეთვე, ოფიცერი **ფრიდონ გლურჯიძე.** ივანე და ფრიდონი მეგობრობდნენ.

ერთ დღეს ფრიდონმა თავის მშობლიურ სოფელ სასირეთში დაპატიჟა ივანე. ფრიდონმა ოჯახი გააცნო, მათ შორის თავისი დაი – კონა გლურჯიძე, შეთქვირებული ქალიშვილი, რომელიც დაცქრიალებდა როგორც დიასახლისი... ივანე მაზნიევს თვალი გაურბოდა ტანკენარი ქალიშვილისკენ, თან თავს იკიცხავდა, თვალებს რომ ვერ იმორჩილებდა მეგობრის ოჯახში. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ტანკენარ ქალიშვილის, იმასაც უნებურად გაურბოდა მზერა სტუმრისკენ...

აზნაური გლურჯიძეებიც არა ყოფილან ძირძველი სასირელები.

მათი სასირეთში მოსვლის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს, ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, გლურჯიძეები ჩამოსულან გორის რაიონის სოფელ ატენიდან. ატენი დიდია, რამდენიმე უბნისაგან შედგება, თითოეული უბანი დამოკიდებულ სოფლადაც ითქმის. უფრო მინიშნებით, გარდატენიდან ყოფილან გლურჯიძეები, მათი შინაყმა ყოფილა ვინმე ბეჟიტაშვილი. სოფელს მტერი დასცემია, ოსმალები თუ ყიზილბაშები, მთელი სოფელი გადაუბუგიათ. გადარჩენილ შინაყმა ბეჟიტაშვილს 3 თვის ბიჭი გლურჯიძე გოდორში ჩაუსვია, ზემოდან ჩალა გადაუყრია და ისე გამოუპარებია გარდატენიდან, უვლია, უვლია, სასირეთში მისულა და აქ დასახლებულა. ის ბავშვი 16 წლისა რომ შესრულებულა, მის გამზრდელ ბეჟიტაშვილს უთქვამს: აქამდე გაგზარდე, ახლა შენ ბატონი იქნები და მე შენი ყმაო.

გადმოცემით, ეს პირველი გლურჯიძე, ვინც გარდატენიდან გოდრით ჩამოიყვანეს, გაზარდეს და მერე გააბატონეს, უნდა იყოს **ჯანა გლურჯიძე**, რომელიც მართლაც ცხოვრობდა სოფელ სასირეთში, მაგრამ... ეს ლეგენდა ვერ გამართლდა, ისტორიულმა წყაროებმა გააბათილა.

გლურჯიძეები მართლაც ცხოვრობდნენ გარდატენში, მართლაც იყვნენ აზნაურები და კიდევ მაგრამ...

სინამდვილეში სასირელი გლურჯიძეები აფხაზეთიდან არიან ჩამოსული.

აი, რას ვკითხულობთ ცნობილი მეცნიერის, მწერლის, ლექსიკოგრაფის, ენციკლოპედისტის, საქართველოს უკანასკნელი მეფის – გიორგი მეთორმეტის ვაჟის იოანე ბაგრატიონის წიგნის „შემოკლებული აღწერა საქართველოს შინამცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა“ თავში „აზნაური გლურჯიძე“:

„ამათი წინაპარნიცა არიან აფხაზეთიდან მოსრულნი კონსტანტინე მეფის დროსა 1473 წელს შერვაშიძეებთან, ვითარცა ზემორე დავწერეთ და მონათესავენი მათნი გარნა აზნაურად მილებულნი მეფეთაგან, რომელნიცა მოსახლეობენ თეძმის ხეობასა ზედა სასირეთსა და არიან რამოდენიმე სახლად“.

მაშ ასე: ფრიდონ გლურჯიძის დამ კონამ მოხიბლა ივანე მაზნიევი. კონას მშობლებმა არაფერი იცოდნენ. ცოტა კი უკვირდათ, ფრიდონის მეგობარმა ოფიცერმა სტუმრობას რომ მოუხშირა, ივანე მაზნიევი დასვენების დღეებშიც და შვებულების ჟამსაც მანგლისიდან მთა-მთა და ტყე-ტყე გადმოიჩქაროდა სასირეთისაკენ დიდგორზე და ქვათახევზე გადმოვლით. მოსვლის საბაბი არ ელეოდა, მიზეზ-მიზანი კი კონას ნახვა იყო. ბოლოს ყველაფერი გაირკვა და...

ჯვარი წმინდა გიორგის ეკლესიაში დაიწერეს, იქვე სასირეთში, გლურჯიძეების ოჯახში ჩაზედსიძევდა ივანე მაზნიაშვილი, მერე გვარი რომ გაუმაზმანოვეს. იმ დროისათვის გლურჯიძეები სასირეთის ზემო უბანში ცხოვრობდნენ. ეს სახლი აღარ არსებობს, შეისყიდა ერთ-ერთმა მოსახლემ. ძველი სახლი დაანგრია და მის ადგილას ახალი სახლი აიშენა. სიძეს, უფრო მართლად, ზესიძეს სჭირდებოდა ბინა, ახალდაქორწინებულებს მისცეს მამული ქვემო სასირეთში, ანუ ქვემო უბანში და შუა უბანში, დღევანდელ სკოლასთან.

ივანე მაზნიაშვილმა სასახლკარედ ქვემო უბანი აირჩია. მდინარე თეძმის ახლოს, სადაც მეტეხგრაკალის გზა გადის, სწორედ იქ აიშენა სახლი. გლურჯიძეებმა ხელი გაუმართეს, შუაუბნის მამულში, რომელიც 5 ჰექტარი მაინც იქნებოდა, გააშენეს ვაზი, ნაწილი ვაშლის, ატმისა და სხვა ხეხილისთვის გამოიყენეს .

სხვათა შორის, მიწის ეს ფართობი, რომელსაც ნაზვრევიც ეთქმის, მიწის პრივატიზაციის დროს ჩემი უშუალო მეცადინეობით დავუბრუნეთ მუზეუმს, რათა მომავალში კვლავ გაშენებულიყო ვაზი და ხილნარი, აღდგენილიყო, ისე როგორც გიორგი მაზნიაშვილს ჰქონდა გამართული და ქცეულიყო სახლ-მუზეუმის შემადგენელ ნაწილად და თან მუზეუმის შემოსავლის წყაროც ყოფილიყო. ამ ნაკვეთის ნაწილი გავუპიროვნეთ გიორგი მაზნიაშვილის შთამომავლებს, მათ შორის მის შვილიშვილს, აგრეთვე გიორგი მაზნიაშვილს, რომელიც აიძულეს საქართველოდან წასულიყო და ბაქოში ეცხოვრა. დღესაც იქ ცხოვრობს, გვინდოდა დაბრუნებულიყო მამაპაპეულ, მშობლიურ სასირეთში, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ამ ნაკვეთის თავზე გადის სოფლის გზა, გზისზევითა ნაწილში გიორგი მაზნიაშვილმა სოფელს აუშენა სკოლა, რომლის კედლებილაა შემორჩენილი, მის ნაცვლად ეზოში აშენდა სკოლის ახალი შენობა, რომელიც დღეს გიორგი მაზნიაშვილის სახელს ატარებს.



სოფ. სასირეთი. გ. მაზნიაშვილის სახლი.

ივანე მაზნიევსა (მაზნიაშვილსძ და კონა გლურჯიძეს შეეძინათ სამი შვილი: ალექსანდრა (საშაძ, გიორგი (შემდეგში გენერალიძ და პოლია. პოლია ახალგაზრდა გარდაიცვალა, საშა ქ. გორში გათხოვდა, ორი ბიჭი ეყოლა, სამწუხაროდ, ორივე დაეღუპა.

პირველი ქმრის გარდაცვალების შემდეგ საშამ თავისი ბედი დაუკავშირა პოლონელ გრაფ იგნატო ოსოვსკის, რომელიც დიდად განათლებული პიროვნება ყოფილა, 12 ენა სცოდნია, ადრე, მთავრობას იგი ელჩად გაუგზავნია ირანში, იქიდან დაბრუნებული ფილტვების ანთებით გამხდარა ავად. ერთ წელიწადს იმკურნალა თბილისში, გამოჯანმრთელებული ქუთაისში მაღალ თანამდებობაზე გაუგზავნიათ. სწორედ ქუთაისში, გაიცნო საშა, რომელიც იქ ქალთა გიმნაზიაში სწავლობდა. იქვე დაოჯახდნენ კიდეც.

იგნატი ოსოვსკის და ალექსანდრა (საშაძ მაზნიაშვილს შეეძინათ სამი შვილი: ანა, გალი და თამარი. თამარი 16 წლის ასაკში გარდაიცვალა ქუნთრუშით, გალი 1963 წელს, ღრმად მოხუცი აღესრულა. ულამაზესი ქალი ყოფილა, ადრე გათხოვდა, გაჰყვა 20 წლით უფროს კავკასიელ ჩინელს, ძალიან მდიდარ კაცს, რომელიც მეტად დიდ პატივს სცემდა ულამაზეს ცოლსა. ეყოლათ ქალ-ვაჟი. ქალიშვილი ცოლად ებრაელს გაჰყვა და ამჟამად ისრაელში ცხოვრობს.

**გიორგი ხორგუაშვილი**

**(გაგრძელება იქნება)**



სოფ. სასირეთი. სკოლის შენობა, რომელიც ააგო გ. მაზნიაშვილმა.

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 22.**

ინფორმაცია

### კონფლიქტის ზონაში დახმარების განაწილება დაიწყო

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისთვის ხელისუფლების დახმარების 100-100 ლარის განაწილება დაიწყო.

თანხის განაწილება რამდენიმე დღე გაგრძელდება. ლიახვის ხეობაში გუშინ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გიორგობიანი ჩავიდა და ამ პროცესს უშუალოდ აკონტროლებს.

მისი განცხადებით, ჯერ არანაირ შეფერხებას და გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია.

### მეზობელი გაქურდა

ზუგდიდის პოლიციამ დარჩელის მკვიდრი 24 წლის ლაშა ბერაია დააკავა.

პოლიციის ინფორმაციით, ბერაიას ბრალად ედება მეზობლის სახლის გაქურდვა.

პოლიციის თანამშრომლებმა მისი სახლიდან ამოიღეს ე.წ. აბრეზი და ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლო ბერაიას აღმკვეთ ღონისძიებაზე ხვალ იმსჯელებს.

### სამხედრო გზის მონაკვეთზე მოძრაობა აიკრძალა

საქართველოს სამხედრო გზის კობი- გუდაურისა და ჟართალი-სტეფანწმინდის მონაკვეთში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აიკრძალა.

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილმა გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბოლო წლების განმავლობაში გზის აღნიშნულ მონაკვეთზე მსგავსი ექსტრემალური მდგომარეობა არ დაფიქსირებულა.

დალაქიშვილის განცხადებით, აკრძალვა ძალაში დარჩება, ვიდრე თოვა არ შეწყდება და ტექნიკა გზის გამწმენდ სამუშაოებს არ განახორციელებს.

დეპარტამენტის თავმჯდომარის თქმით, ამ დროისთვის ჟართალი-სტეფანწმინდის მონაკვეთში თოვლის საფარმა 70-სანტიმეტრით, ხოლო გუდაური-სტეფანწმინდის მონაკვეთში 50 სანტიმეტრით მოიმატა.

მისივე ინფორმაციით, ამ დროისთვის ინტენსიური თოვა გრძელდება და თოვლის საფარი საათში 7 სანტიმეტრით იმატებს.

ინტერპრესნიუსი

### ცხუნკურელების საპროტესტო აქცია

წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის მოსახლეობა 2 თვის წინათ გაურკვეველ ვითარებაში დაღუპული ვალერი ჯიმშელეიშვილის გარდაცვალების მიზეზების დადგენას მოითხოვენ.

ოჯახის წევრების განცხადებით, ორი თვის განმავლობაში არც პროკურატურა და არც პოლიციის თანამშრომლები ამ ფაქტის გამოძიებით არ დაინტერესებულან.

გარდაცვლილის დედის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ სამხარეო ადმინისტრაცია შესაბამის რეაგირებას რა მოახდენს აღნიშნულთან დაკავშირებით, ისინი პრეზიდენტს მიმართავენ.

ცნობისათვის, 2 თვის წინათ 16 წლის ვალერი ჯიმშელეიშვილის ცხედარი სოფელთან ახლოს მდებარე ტყეში ნახევრად დამწვარი იპოვეს.

ХО-ЭИВ-ЭНО

# უცხოური პრესა

● გამოძიებაში ჯერ კიდევ 2005 წელს მონაწილეობდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები, მაგრამ მათ იურიდიულ დასკვნასთან დაკავშირებით რაღაც უცნაური ამბები ხდება



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში ახალი ვერსიები გამოჩნდა ზურაბ ჟვანიას დაღუპვასთან დაკავშირებით

**საქართველოში აგორდა ახალი სკანდალი ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და მისი მეგობრის — ქვემო ქართლის რეგიონის ყოფილი გუბერნატორის თანაშემწის — რაულ იუსუპოვის ზუსტად ორი წლის წინათ საკმაოდ უცნაურ ვითარებაში დაღუპვასთან დაკავშირებით. ექს-პრემიერის ახლობლებმა მოითხოვეს, რომ გამოძიებაში ამერიკელი ექსპერტების შემდეგ, მათი ევროპელი კოლეგებიც ჩართულიყვნენ. დამოუკიდებელი ქართველი ჟურნალისტები კი ამზადებენ ფილმს ამ მოვლენათა შესახებ და აცხადებენ, რომ ნათელს მოჰფენენ აქამდე უცნობ ფაქტებს.**

ზურაბ ჟვანიას მიიჩნევენ თანამედროვე ქართული პოლიტიკის არქიტექტორად. ქვეყნის მრავალ ხელმძღვანელს, მათ შორის პრეზიდენტსაც, დიდ პოლიტიკაში გზა დაულოცა ზურაბ ჟვანიამ, რომელსაც 2006 წლის დეკემბერში 43 წელი შეუსრულდებოდა.

ძირითად ვერსიად რჩება ის, რომელიც 2005 წლის 3 თებერვალს თბილისში, კონსპირაციულ ბინაში დაღუპულთა აღმოჩენიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამოაცხადეს: დაღუპვის მიზეზი გახდა ირანული წარმოების გაუმართავი გამათბობლიდან გამოჟონილი მხუთავი გაზით მოწამვლა. მაგრამ, როგორც „რუსთავი-2“ ტელეკომპანიამ შენიშნა, ამ ვერსიაში ეჭვი ეპარება საქართველოს ყოველი ათი მოქალაქიდან ცხრას.



გიორგი ჟვანიამ, ზურაბის ძმამ, 5 თებერვალს განაცხადა, რომ საქმის დახურვა ვერ ხერხდება, რადგან „ვერ დაუმტკიცებიათ, რომ ეს ნამდვილად უბედური შემთხვევა იყო“. საჭიროა კვლავ ჩავაბათ გამოძიებაში უცხოელები, მაგრამ ამჯერად უკვე — ევროპელები, — აღნიშნა გიორგი ჟვანიამ. „ოჯახს სურს იხილოს ბრიტანელი ექსპერტები, მაგრამ ისინი უნდა მოიწვიონ სახელმწიფო სტრუქტურებმა. ევროპელების მოწვევას სახელმწიფო სტრუქტურები გვპირდებოდნენ, მაგრამ ეს არ გაუკეთებიათ“, — აღნიშნა მან.

გამოძიებაში ჯერ კიდევ 2005 წელს მონაწილეობდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები, მაგრამ მათ იურიდიულ დასკვნასთან დაკავშირებით რაღაც უცნაური ამბები ხდება. როგორც თბილისში ამბობენ, დასკვნის ინგლისურ ვარიანტში საქმე ეხება იმას, რომ ჟვანიას და იუსუპოვის დაღუპვის მიზეზი ვერ იქნებოდა მხუთავი გაზით მოწამვლა, ტექსტის ქართულ თარგმანში კი არანაირი წინააღმდეგობა არ არის ქართველი გამომძიებლების დასკვნასთან. ჩვენს კორესპონდენტთან ინტერვიუში გიორგი ჟვანიამ დაადასტურა ეს მონაცემები: „დასკვნა ინგლისურ ენაზე 23-გვერდიანია. იგი შედგენილია საგამოძიებო ექსპერიმენტების მიხედვით, რომელთა შედეგადაც დაადგინეს, რომ ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრებმა ვერ მოახერხეს გადაძრომა პირველ სართულზე მდებარე ბინის ფანჯარაში, რომელშიც, დაცვის წევრების თქმით, ისინი გადაძვრნენ, როცა იგრძნეს რაღაც ცუდი, რადგან ბინის პატრონს კარი არ გაუღია, როცა ზარი დარეკეს“.

გიორგი ჟვანიას მონაცემებით, ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ „გაზის გამათბობლიდან არ გამოუჟონავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის მომაკვდინებელ მხუთავ გაზს იმ ბინაში, რომელშიც ჟვანია და იუსუპოვი იპოვეს; გამათბობელში ვერ აღმოაჩინეს რაიმე გაუმართაობა ან მხუთავი გაზის გაჟონვა“. „იმ ბინაში ვერ იპოვეს თითის ანაბეჭდები. განა ეს საკვირველი არ არის? ჩემი ძმა ბევრს ეწეოდა, მაგრამ სიგარეტი ბოლომდე არასდროს ჩაჰყავდა, თანაც ნამწვს თავისებურად აქრობდა. ასეთი ნამწვები კი ბინაში ვერ იპოვეს. იყო მხოლოდ ერთი, რომელიც რაღაცით წააგავდა ასეთს. კიდევ ერთი კითხვა: როგორ მოხვდა ეს ნამწვი იმ ბინაში? იქ ნაპოვნი ყველა სხვა სიგარეტის ნამწვი ბოლომდე იყო ჩამწვარი“, — თქვა გიორგიმ.

იაშარ იუსუპოვს, რაული იუსუპოვის მამას, მიაჩნია, რომ მისი ვაჟი გარდაიცვალა სხვა ადგილას, შემდეგ კი რაულის გვამი ვიღაცამ გადაასვენა ამ ბინაში. იაშარ იუსუპოვი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ბინაში ვერ იპოვეს მისი ვაჟის ცალი ფეხსაცმელი: „ალბათ, იგი დაიკარგა მაშინ, როცა რაული ამ ბინაში გადმოასვენეს“.

ექს-პრემიერის ქვრივმა ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ განაცხადა, რომ გამომძიებლები იმთავითვე ამუშავებდნენ მხოლოდ ერთ ვერსიას — მხუთავი გაზით მოწამვლას, და არანაირი სხვა ვერსია მათ არ აინტერესებდათ.

„ზურაბ ჟვანია დასავლეთისთვის იყო იმის გარანტი, რომ საქართველოში რაიმე მოულოდნელობა არ მოხდებოდა, — თქვა პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა, — ჟვანიას დაღუპვის შემდეგ დაირღვა ბალანსი ხელისუფლების სტრუქტურებში“.

ასეთი დასკვნები საზოგადოებაში კიდევ უფრო განამტკიცებენ აზრს იმის თაობაზე, რომ დიდი პოლიტიკიდან ზურაბ ჟვანიას წასვლა საქართველოში ბევრისთვის იყო ხელსაყრელი. ტელეჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე მუშაობს ფილმზე, რომელიც ამ ტრაგედიას ეხება. კომახიძე აპირებს ყოველივე იმის თქმას, რაც აქამდე არ იყო ცნობილი. მაგალითად, პრემიერის დაღუპვის დღეს პრეზიდენტი სააკაშვილი ავარიაში მოჰყვა. „მე ახლა შევისწავლი, თუ რატომ მოხდა ასეთი დამთხვევა“, — თქვა ჟურნალისტმა.

„ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ეს უბედური შემთხვევა არ ყოფილა, — აღნიშნა ჟვანიას ახლო მეგობარმა და ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ, — ჟვანიას დაღუპვა საქართველოსთვის ისეთი ტრაგედიაა, როგორც კენედის მკვლელობა ამერიკისთვის. მხოლოდ ღმერთმა უწყის, თუ როდის შევიტყობთ სიმართლეს. მაგრამ ჭეშმარიტებას მაინც უნდა მივაკვლიოთ“.

ნინო ქადაგიძე-ჟვანია არ გამორიცხავს, რომ როცა საჯაროდ გამოცხადდება მთელი სიმართლე მისი მეუღლის დაღუპვის შესახებ, „ქვეყანაში სიტუაცია შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს“. მაგრამ ჟვანიას ნათესავები ადანაშაულებენ არა იმდენად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რამდენადაც მის გარემომცველ პირებს: „დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილმა წინასწარ არაფერი იცოდა. იგი ფაქტის წინაშე დააყენეს“, — თქვა გიორგი ჟვანიამ.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# ქართველებმა ცხინვალის აღება სცადეს

**გასულ უქმე დღეებში თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში ნაღმსატყორცნების და ყუმბარსატყორცნების სროლის ხმა ისმოდა. დაიჭრა ორი კაცი: ერთი ცხინვალელია, მეორე კი ქართული სოფლის ნიქოზის მკვიდრი. სამხრეთ ოსეთში ამბობენ, რომ ჩაიშალა ქალაქის აღების მცდელობა.**

თბილისი კი საპასუხო ბრალდებებს გამოთქვამს თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლების მისამართით, რომელსაც მსხვილმასშტაბიანი საომარი მოქმედების პროვოკაციერებაში ადანაშაულებს.

თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ცხინვალის საცხოვრებელ უბნებში ჭურვები ფეთქდებოდა 3 თებერვალს საღამოს, მოსკოვის დროით 21 საათსა და 30 წუთიდან. ნაშუაღამევისთვის „უკვე გაშიფრული იყო ქართული მხარის გეგმები“. სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და პრესის კომიტეტის თავმჯდომარე ირინა გაგლოევმა განაცხადა, რომ საქართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმებმა ქალაქის სამხრეთ ნაწილს შეუტიეს ერთბაშად სამი მიმართულებიდან — ნიქოზიდან, ავნევიდან და ფრისიდან.

თუმცა, ყველაფერი მხოლოდ სროლით დასრულდა. მოგვიანებით, თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ანდრეი ლაპტევმა აღნიშნა, რომ მისმა ხელქვეითებმა შეძლეს არა მარტო ქართული სპეცფორმირებების იერიშების მოგერიება, არამედ ქალაქში მათი შეღწევის აღკვეთაც.

ქართული მხარის მოსაზრება განსხვავებულია. აი, რა თქვა ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაურმა პოლკოვნიკმა მამუკა ყურაშვილმა: „სროლა ოსებმა დაიწყეს. შერეული სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ იმის მოწმე, თუ როგორ უშენდნენ ცხინვალიდან ცეცხლს სოფელ ნიქოზს. ისროდნენ მსხვილკალიბრიანი იარაღიდან, ნაღმსატყორცნებიდან და ავტომატებიდან. მტკნარი სიცრუეა, როცა ამბობენ, თითქოს ქართველებმა დაუშინეს ცეცხლი ცხინვალს“.



თბილისში აცხადებენ, რომ ამ ბოლო ათი დღის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის მხარემ უკვე მეოთხე შეიარაღებული პროვოკაცია განახორციელა. საქართველოს ხელისუფლება მოუწოდებს ცხინვალის მხარეს გამოიჩინოს კეთილგონიერება და შეწყვიტოს შეიარაღებული გამოხდომები კონფლიქტის ზონაში, რადგან ამას შეიძლება განუჭვრეტელი შედეგები მოჰყვეს.

**ალექსანდრე იაშვილი**

ИЗВЕСТИЯ

# „კოსოვოს აჩრდილი“

**ორშაბათს ცხინვალში გაიმართა მონიტორინგის ჯგუფის სხდომა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან შერეული საკონტროლო კომისიის და ეუთოს მისიის წარმომადგენლები. სავარაუდოდ, სხდომაზე უნდა გამოეტანათ დასკვნა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ამ ბოლო დროს გახშირებული სროლისა და ინციდენტების თაობაზე. მთელი დღის განმავლობაში თვითაღიარებული რესპუბლიკის დედაქალაქში ვრცელდებოდა ურთიერთგამომრიცხავი ხმები სხდომის მიმდინარეობის შესახებ, და იმ დროისათვისაც კი, როცა ჩვენი გაზეთის ნომერი მზად იყო ხელმოსაწერად, მონიტორინგის ჯგუფს ჯერ კიდევ არ გამოეტანა ვერდიქტი.**

და მაინც, ქართულმა ტელეკომპანიამ „მზემ“ ნაშუადღევს გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მეთვალყურეები უფრო მეტად იზიარებენ ვერსიას, რომ ცეცხლი პირველად ოსურმა მხარემ გახსნა. ამის შემდეგ სხდომაში მონაწილე ქართული მხარის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსი სამხედროები გადაეყვანათ სადღეღამისო პატრულირების რეჟიმზე. ძნელი სათქმელია, რამდენად შეუწყობს ეს ხელს ვითარების გაუმჯობესებას, რადგან ამ ბოლო ხანებში ისროდნენ როგორც ღამით, ისე დღისით, დაძაბულობის ცენტრად ქცეული სოფელ ერგნეთის მახლობლად გახსნილმა სამშვიდობოთა დამატებითმა საგუშაგომ კი ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა სიტუაციაზე.

მონიტორინგის ჯგუფის სხდომის დაწყების წინ შერეულ სამშვიდობო ძალებში ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაურმა მამუკა ყურაშვილმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ხელმძღვანელობას წარუდგინა მოხსენება კონფლიქტურ ზონაში შექმნილი ვითარების შესახებ. გვიან საღამოს დასრულებული სხდომის შემდეგ კი მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ოსური მხარის მიერ გამოთქმული ბრალდებები არ შეესაბამება სინამდვილეს. „ჩვენ გვაქვს იმის მტკიცებულებანი, რომ პირველმა ცეცხლი ოსურმა მხარემ გახსნა“, — თქვა მან.

ბუნებრივია, ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ცხინვალი. მაგალითად, თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ იური მოროზოვმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ კვლავაც გაგრძელდება პროვოკაციები ქართველთა მხრიდან, რაც, მოროზოვის აზრით, უკავშირდება კოსოვოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. „ფორმულა „მთლად დამოუკიდებლობა არა მაგრამ, აღარც ავტონომია — კი“ კარგია, რადგან კოსოვოს შეიძლება მიანიჭონ ძალზე სერიოზული უფლებები. კოსოვოს შეიძლება დართონ საერთაშორისო კავშირებში გაწევრიანების ნება. ყოველივე ეს შესაძლებელია უახლოეს მომავალში მოხდეს, და სწორედ ეს იწვევს ქართული მხარის ნერვულობას“, — თქვა მან.

ამავე დროს, სამხრეთ ოსეთის მიმართ „კოსოვოს მოდელის“ გამოყენების თაობაზე საქართველოს ხელისუფლების შეშფოთება მართლაც შეიძლება გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს. ყოველ შემთხვევაში, ევროკომისიის წევრმა საგარეო კავშირებისა და პოლიტიკური კეთილმეზობლობის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერმა კიდევ ერთხელ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებული სიტუაცია ვერ იქნება პრეცედენტი პოსტსაბჭოური თვითაღიარებული რესპუბლიკებისთვის. „ჩვენ ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ ყველა ეს შემთხვევა ინდივიდუალური ხასიათისაა. ყველა სიტუაციას აქვს განსხვავებული ისტორიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კონტექსტი“, — თქვა ფერერო-ვალდნერმა.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

№ 23. ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 2007 წელი.

● ისლამის მისტიკურ ტრადიციაში ხომ ღმერთი იდეალური სატ-რფოა, ადამიანი – მისი ტრაგიკული მეტრფე, ხოლო სიყვარული გზაა მათ შორის, რომლის გავლასაც მისტიკური ღვინო – პოეზია, მუსიკა, საერთოდ, ხელოვნება აიოლებს



◎ ღვაწლი და აღიარება

# „ჩვენ სიყვარულის შვილები ვართ“...

## ვახუშტი კოტეტიშვილს ირანელებმა „მადლობის სიგელი“ გადასცეს

**როგორც ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 25 იანვარს ვიუწყებოდით („ირანის მთავარი ენერგია კულტურაა, ანუ როგორ დააფასეს ამ დღეებში თეირანში არაირანელი ირანისტები“) 13 იანვარს ქ. თეირანში გაიმართა სპარსული ენისა და ლიტერატურის გამორჩეული არაირანელი პროფესორების ღვაწლისადმი პატივისცემის გამოხატვის პირველი კონგრესი. პროფესორ ბაშირ ალ-ნისა ბიგამს (ინდოეთიძ, პროფესორ ტალათ აბუ ფარჰეს (ეგვიპტეძ, პროფესორ ალი რეზა ნაყავის (პაკისტანიძ, პროფესორ ვლადიმირ ივანოვს (რუსეთიძ და პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილს (საქართველოძ სპარსული ენისა და ლიტერატურის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში გაწეული ნაყოფიერი შრომისა და მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისადმი ღრმა პატივისცემისა და დაფასების აღსანიშნავად გადაეცათ კულტურისა და ისლამური ურთიერთობების ორგანიზაციის „მადლობის სიგელი“. მეექვსე გამორჩეული ირანისტი პროფესორი ვახუშტი კოტეტიშვილი ვერ დაესწრო კონგრესს.**

ამ დღეებში ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი, ბატონი მოჯთაბა დემირჩილუ ბინაზე ესტუმრა პროფესორ ვახუშტი კოტეტიშვილს. სტუმარმა და მასპინძელმა მისალმებისა და საუბრის სპარსული მაღალი ეტიკეტის დაცვით დაიწყეს ქათინაურების გაცვლა-გამოცვლა. მალე მუსაიფი გადავიდა მეტად გულთბილ და მეგობრულ ტონალობაში. შეხვედრას ესწრებოდნენ ირანელი დიპლომატი ბატონი ჰაშემი, ქართველი ირანისტები – ქალბატონები ლილი ქორქოლიანი, მარინე ალექსიძე, ბატონები ჯ. გიუნაშვილი, ნ.ზართაია, რ. ზათავანი. მალე შეხვედრა გადაიზარდა სპარსული პოეზიის ზეიმში. ვახუშტი კოტეტიშვილი კითხულობდა სპარსული პოეზიის ნიმუშებს ჯერ ორიგინალში, შემდეგ კი მათ ქართულ თარგმანებს. სხვებიც ცდილობდნენ მხარი აებათ მასპინძლისათვის. საინტერესო ის იყო, რომ ბატონმა ელჩმა გამოამჟღავნა ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანების საოცარი ცოდნა. როდესაც ვახუშტის გამორჩა ერთ-ერთი ავტორის დასახელება, ბატონმა ელჩმა შეახსენა: „თქვენ ოზეიდ ზაქანიც გაქვთ ნათარგმნიო“.



ირანის ელჩი დემირჩილუ „მადლობის სიგელს“ გადასცემს ვახუშტი კოტეტიშვილს.



(მარჯვნიძ ვახუშტი კოტეტიშვილი სტუმრებს უკითხავს ხომეინის ლირიკულ-ფილოსოფიური ლექსების თავისეულ თარგმანს.

ჯემალ კასრაძის ფოტო

ამ უვერტიურის შემდეგ ბატონმა ელჩმა ბრძანა: „პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობამ დამავალა სპარსული ენისა და ლიტერატურის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში გაწეული ნაყოფიერი შრომისა და მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისადმი ღრმა პატივისცემისა და დაფასების აღსანიშნავად, ვითარცა მსოფლიოში გამორჩეულ ირანისტს, გადაგცეთ „მადლობის სიგელი“.

აღელვებული ვახუშტი ემთხვია ლამაზ მოზაიკურ ჩარჩოში ჩასმულ „მადლობის სიგელს“ და მიმართა ირანის ელჩს: „თქვენო აღმატებულებავ, დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემი 50-წლიანი შრომის ასეთი დაფასებისათვის. ბოდიშს ვიხდი – ცრემლებიც კი მომერია, ეს დღე ჩემთვის ყოველთვის დაუვიწყარი იქნება“.

კარგა ხანს გაგრძელდა სპარსული პოეზიისა და დამსწრეთა სულიერი ერთობის ზეიმი.

* * *

ამ მეტად თბილ და მეგობრულ შეხვედრაზე ლაპარაკი იყო აგრეთვე ვახუშტი კოტეტიშვილის ახალ თარგმანზე. ლაპარაკია იმამ ხომეინის „სიყვარულის ღვინოზე“, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა.

1978-1979 წ. რევოლუციის ლიდერი აიათოლა რუჰოლა მუსავი ხომეინი (1902-1989ძ, რომელმაც 25 საუკუნის ისტორიის მქონე მონარქია დაამხო და დააფუძნა ირანის ისლამური რესპუბლიკა, არა მხოლოდ გამოცდილი პოლიტიკოსი და ღვაწლმოსილი სასულიერო მოღვაწე, არამედ შესანიშნავი პოეტიც იყო, რომელიც თავის შემოქმედებაში მრავალსაუკუნოვანი სპარსული მწერლობის საუკეთესო ტრადიციათა ერთგულ გამგრძელებლად გვევლინება. კერძოდ, იგი წარმატებით იყენებს სპარსული ლიტერატურის მისტიკური ნაკადის – სუფიზმის მხატვრულ-გამომხატველობით საშუალებებს. ტვირთავს მათ თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელი ახალი აქცენტებით და ამიტომაც მისი პოზიციაც წარსულსა და აწმყოს შორის მოციმციმე ისეთი მზის სხივია, როგორიც თვითონ ამ ლექსების ავტორი იყო.

მკითხველი, რომელიც გათვითცნობიერებული არ არის სპარსულ-აღმოსავლური ლიტერატურის თავისებურებებში, აიათოლა ხომეინის ლირიკულ-მისტიკურ ლექსთა კრებულის სათაურმა – „სიყვარულის ღვინო“ – შეიძლება დიდად გააკვირვოს და ასეთი რამ ისლამური ფასეულობების მკვდრეთით აღმდგენი და ერთგული დამცველისაგან ერთგვარ ისტორიულ ნონსენსად აღიქვას. სინამდვილეში „სიყვარულის ღვინო“ მუსლიმური მისტიკის ერთ-ერთი ცენტრალური ტროპია, რომელიც ღვთის სიყვარულით გონმიხდილობას, თავისებურ ღვთაებრივ სიმთვრალეს გამოხატავს. ისლამის მისტიკურ ტრადიციაში ხომ ღმერთი იდეალური სატრფოა, ადამიანი – მისი ტრაგიკული მეტრფე, ხოლო სიყვარული გზაა მათ შორის, რომლის გავლასაც მისტიკური ღვინო – პოეზია, მუსიკა, საერთოდ, ხელოვნება აიოლებს.

ქვემოთ ნიმუშად გთავაზობთ იმამ ხომეინის ერთ-ერთი ლექსის ვახუშტი კოტეტიშვილისეულ თარგმანს.

**ჩვენ სიყვარულის შვილები ვართ,<br>
ჯამის ვაჟები,<br>
სიმთვრალეში და სილაღეში<br>
ნაგიჟმაჟები.<br>
მსხვერპლად, ზვარაკად შეწირულნი<br>
ამ ღვინის მარანს,<br>
ღვინის ქურუმებს შევხარით და<br>
ვეყაშყაშებით.<br>
ჩვენ სატრფოსაგან განშორებით<br>
ვართ წამებულნი,<br>
მასთან შეხვედრას მიელტვიან<br>
ფიქრის რაშები.<br>
უსახელონი, უსუსურნი და<br>
უფერულნი<br>
მაინც არ ვცხრებით და სიყვარულს<br>
ველაქლაქებით.<br>
ვებრძვით სუფიებს და დერვიშებს,<br>
ფუჭი კამათით,<br>
ჩვენ არასოდეს მოგვიღლია<br>
მათებრ ლაშები.<br>
ჩვენ მედრესეს და მის მესვეურთ<br>
განვეშორენით,<br>
თავს არ ვიმცირებთ მათ დონემდე<br>
დაბლა დაშვებით.<br>
ჩვენ ამქვეყნიურ არსებობას<br>
ზურგი ვაქციეთ<br>
და მარადიულ სიმაღლეებს<br>
ვეთამაშებით.**

კრებული „სიყვარულის ღვინო“ გამოცემულია პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილის რედაქტორობით.

**გურამ გოგიაშვილი**

**რედაქციისაგან: პატივცემულო ბატონო ვახუშტი! ჩვენი გაზეთის რედაქციისა და ჩვენი მკითხველების სახელით გულწრფელად მოგილოცავთ ესოდენ მნიშვნელოვან წარმატებას. საგულისხმოა, რომ 2007 წლის „მადლობის სიგელის“ ექვსი ლაურეატიდან ორ ქართველ ირანისტს მიანიჭა ეს საპატიო წოდება. კიდევ ერთხელ გაჟღერდა „ევროპის ორიენტალისტების დუაენი“ აკადემიკოს იან რიპკას შეფასება – „ქართული ირანისტიკა ჭეშმარიტად მშვენიერია“.**

◎ ინფორმაცია

## თავად გადაიხადონ!

**ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გიორგი ხევიაშვილმა გუშინ მთავრობის კანცელარიაში კომენტარი გააკეთა დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში ელექტროენერგიის გათიშვასთან დაკავშირებით.**

მისი თქმით, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა სამინისტროს მიზეზით არ ხდება, რადგან სამინისტროს ენერგოკომპანიების მიმართ არანაირი დავალიანება არ გააჩნია.

– ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო წელიწადში 15 მლნ ლარს იხდის, რომელიც დევნილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს ფარავს, – აღნიშნა ხევიაშვილმა.

თუმცა, მისივე თქმით, თუ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებში გარკვეული გადახარჯვაა, ეს ღირებულება დევნილებმა თავად უნდა გადაიხადონ.

## სიგუა თბილისში ჰგონია

**აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის „სრულუფლებიანი“ წარმომადგენელი გალის რეგიონში რუსლან ქიშმარია აცხადებს, რომ აფხაზეთს გააჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გალის რაიონში 3 თებერვალს გატაცებული დავით სიგუა გატაცების შემდეგ თბილისში ჩაიყვანეს.**

მისივე ინფორმაციით, გამტაცებლებს დანაშაულის ჩადენის შემდეგ ენგურის ხიდის ქართულ მხარეს სამი ავტომანქანა „ჯიპი“ ელოდებოდა, რომლსაც თბილისის სანომრე ნიშნები ჰქონდა.

– უაზის ტიპის ავტომანქანით სიგუას გატაცების შემდეგ, იგი ერთ-ერთ ჯიპში გადასვეს და ზუგდიდის რაიონის სამხარეო პოლიციაში წაიყვანეს. ერთი საათის შემდეგ კი მისი თბილისში გადაყვანა გადაწყდა, სადაც იგი ამჟამადაც იმყოფება, – ამბობს ქიშმარია.

მისივე განმარტებით, აფხაზეთის მთავრობა ყველა ღონეს ხმარობს საკუთარი მოქალაქის გასათავისუფლებლად.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 3 თებერვალს აფხაზეთის გალის რეგიონის მაცხოვრებელი დავით სიგუა ხუთმა ნიღბიანმა გაიტაცა. დავით სიგუა გალის რაიონული ადმინისტრაციის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი და ამავე რაიონში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო.

## სასწრაფო დახმარების მანქანა – საჩუქრად

**სეპარატისტულ აფხაზეთში მოქმედმა „სახარების ქრისტიანულმა სათვისტომომ“ ე.წ. აფხაზეთის „რესპუბლიკის“ ჯანდაცვის სამინისტროს ჰუმანიტარული დახმარების სახით სასწრაფო დახმარების მანქანა გადასცა.**

ეპისკოპოსმა ივანე ჩეხუმოვმა აფხაზურ საინფორმაციო სააგენტო „აფსნიპრესს“ განუცხადა, რომ ეს ნორვეგიის ორგანიზაციის შუამავლობით მიმდინარე საქველმოქმედო აქციის ნაწილია.

მისივე ინფორმაცით, აფხაზეთის საავადმყოფოები ეტლებით, ფორმებითა და სხვა მედიცინისათვის საჭირო ინვენტარით მომავალშიც მომარაგდება.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## აუდიტორული დასკვნა

ქ. თბილისი 2 თებერვალი 2007 წ.

*ინდივიდუალურმა აუდიტორმა, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს სერტიფიკატით ზ №4/059; გაცემული 2005 წლის 12 დეკემბერს ზოგად აუდიტში „გაიოზ გოშაძემ“, ჩავატარე 1998 წლის 27 თებერვალს იუსტიციის სამინისტროში დარეგისტრირებულ (№0061ძ პოლიტიკურ გაერთიანება „ხალხთა მეგობრობის პარტიის“ (ხმპძ 2006 წლის საფინანსო აუდიტი.*

*შემოწმებით დავადგინე, რომ ხმპ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება და სხვა შემოსავლები წლის განმავლობაში არ ჰქონია. პარტია ფუნქციონირებდა მისი წევრების ენთუზიაზმის ხარჯზე.*

ინდივიდუალური აუდიტორი
**გაიოზ გოშაძე**

№ 23. ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 2007 წელი.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576



№ 23. ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 2007 წელი.

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 1-5

**22 იანვარი 2007 წელი**
**05.02.07 წ.**
**010.250.040.36.101.009.927**

### „ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-5 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

**1.** ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-5 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**ა)** მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სხდომათა დარბაზში, პრეზიდიუმში ადგილს იკავებენ საკრებულოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე.“

**ბ)** მე-12 მუხლის „ა“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „(დაბა წყნეთის)“ და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დაესწროს ქ. თბილისის მთავრობის და ქ. თბილისის რაიონის გამგეობის სხდომებს, დასვას საკითხი თავისი კომპეტენციის ფარგლებში;“;

**გ)** მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საფინანსო-საბიუჯეტო და საინვესტიციო პოლიტიკის კომისია შექმნილია ქ. თბილისის ფინანსურ სისტემაში - საბიუჯეტო სისტემების შესახებ საკანონმდებლო ნორმატიული აქტების, ქალაქისა და რაიონების ბიუჯეტების ფორმირების, ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვისა და სხვა საკითხებზე საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების მომზადების მიზნით, რაც მიმართული იქნება დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისაკენ.“;

**დ)** 44-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე“

**ე)** 44-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუდმივი კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარე ღებულობენ გასამრჯელოს. მათ უფლება არა აქვთ ეკავოთ რაიმე სხვა თანამდებობა, ეწეოდნენ სამეწარმეო ან სხვა საქმიანობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევების გარდა.“

**ვ)** 49-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 49.

1. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს თავისი შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო.

2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს. იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარდგენილმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, საკრებულოს თავმჯდომარეს უფლება აქვს ხელახლა წარადგინოს იგივე კანდიდატი მხოლოდ ერთხელ ან დაასახელოს სხვა კანდიდატურა.

3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისი დავალებით, თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებისას. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ახორციელებს ფუნქციებს ამ რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის ან საკრებულოს დავალებით.

4. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე საკრებულომ შეიძლება გადააყენოს თანამდებობიდან. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე წერილობით შეიძლება დასვას საკრებულოს თავმჯდომარემ. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მისი გადაყენების შესახებ მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

5. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გადადგომის, თანამდებობიდან გადაყენების ან მისი, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საკრებულო უახლოეს სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარის ახალ მოადგილეს დადგენილი წესით.“;

**ზ)** 50-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს მუშაობის ორგანიზების მიზნით იქმნება საკრებულოს ბიურო (შემდგომში – ბიურო), რომლის შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.“;

**თ)** 51-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბიუროს სხდომებს იწვევს და უძღვება საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.“

**ი)** 56-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს;“

**კ)** 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკრებულოს წევრს სიტყვით გამოსვლის უფლება აქვს მხოლოდ მაშინ, როცა თავმჯდომარე მისცემს სიტყვას. საკრებულოს წევრი რომელსაც სურს სიტყვით გამოსვლა წინასწარ უნდა ჩაეწეროს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან.“;

**ლ)** 65-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გამომსვლელთა რიგითობას ადგენს საკრებულოს თავმჯდომარე. რიგითობა განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ჩაწერის მიხედვით.“;

**მ)** 68-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს სხდომებს, როგორც წესი, წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე. თუ იგი არ წარმართავს სხდომას, სხდომას უძღვება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.“;

**ნ)** 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში თავის უფლებამოსილების შესრულებას ავალებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს და მხოლოდ ამ საკითხზე კენჭისყრის შემდეგ უბრუნდება თავისი უფლებამოსილების განხორციელებას;

კ) საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, თავის უფლებამოსილების შესრულებას ავალებს საკრებულოს უხუცეს წევრს და ამ საკითხზე კენჭისყრის შემდეგ უბრუნდება თავისი უფლებამოსილების განხორციელებას;“

**ო)** 75-ე მუხლის მე-9 პუნქტში ციფრი „76“ შეიცვალოს ციფრით „74“ და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. თუ წარდგენილ პროექტს თან არ ერთვის ამ რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები, საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მოტივირებული დასკვნის საფუძველზე ხარვეზის გამოსასწორებლად პროექტს უბრუნებს მის ინიციატორს.“

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 1-9

**22 იანვარი 2007 წელი**
**05.02.07 წ.**
**240.120.100.36.101.009.926**

### „გარე რეკლამის გავრცელების რეგულირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-32 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „გარე რეკლამის გავრცელების რეგულირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის №4-32 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**ა)** მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 8.

ქ. თბილისის მერიამ უზრუნველყოს:

ა) ხელშეკრულების ფორმის დამტკიცება;

ბ) ხელშეკრულების ხელმოწერისათვის უფლებამოსილი პირის განსაზღვრა;

გ) ქ. თბილისის მერიის შესაბამისი ორგანოს განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს განცხადებების განხილვას, ქ. თბილისის მთავრობისათვის წარდგენას, ხელშეკრულების გაფორმებასა და მისი შესრულების კონტროლს.

დ) კანონის შესაბამისად გარე რეკლამის გავრცელების გეგმის შემუშავება და დასამტკიცებლად ქ. თბილისის საკრებულოსათვის წარდგენა.“

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

**ბ)** დაემატოს შემდეგი შინაარსის 8[1] მუხლი:
მუხლი 8[1].
ეს გადაწყვეტილება არ ვრცელდება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე და ობიექტებზე განთავსებულ გარე სარეკლამო საშუალებებზე."
**გ)** მე-9 მუხლის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
დ) „ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდის წესისა და გარე ვაჭრობის ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 1999 წლის 16 ივნისის №17-2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „გარე რეკლამის გავრცელების ნებართვისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი".
2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 1-11

**22 იანვარი 2007 წელი**
**05.02.07 წ.**
**010.250.000.36.101.009.925**

### „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-4 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-4 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**ა)** მე-2 მუხლში სიტყვა „მდივნის" შეიცვალოს სიტყვებით „თავმჯდომარის მოადგილის" და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
მუხლი 2.
აპარატის ძირითადი ამოცანებია საკრებულოს სხდომების, საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, წევრების, კომისიების, ფრაქციების, დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება."
**ბ)** მე-3 მუხლის „თ" ქვეპუნქტში სიტყვა „მდივნის" შეიცვალოს სიტყვებით „თავმჯდომარის მოადგილის" და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
თ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების დავალებების შესრულება;"
**გ)** მე-7 მუხლის „ა" ქვეპუნქტში სიტყვა „მდივნის" შეიცვალოს სიტყვებით „თავმჯდომარის მოადგილის" და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ა) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების სამდივნოები;"
**დ)** მე-8 მუხლში სიტყვები „მდივნის" შეიცვალოს სიტყვებით „თავმჯდომარის მოადგილის" და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
მუხლი 8.
საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების სამდივნოთა ძირითადი ამოცანებია:
ა) საკრებულოს თავმჯდომარისათვის საკრებულოს შენობაში სრული ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებაში ხელის შეწყობა;
ბ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა მოხსენებების საჯარო გამოსვლებისა და ანგარიშების მომზადება;
გ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა სამართლებრივი, საინფორმაციო და ანალიტიკური უზრუნველყოფა;
დ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა;
ე) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა სახელზე შემოსული და გასული კორესპონდენციების მიღება და აღრიცხვა;
ვ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა ცალკეული დავალებების შესრულების კონტროლი."
**ე)** მე-12 მუხლის „ვ" ქვეპუნქტში სიტყვა „მდივნის" შეიცვალოს სიტყვებით „თავმჯდომარის მოადგილის" და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ვ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეთა, საკრებულოს წევრთა, აპარატისა და მისი სტრუქტურული ერთეულების სამეურნეო უზრუნველყოფა."
2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 1-12

**22 იანვარი 2007 წელი**
**05.02.07 წ.**
**210.020.000.36.101.009.928**

### „ქ. თბილისში დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 1 დეკემბრის №3-21 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ქ. თბილისში დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 1 დეკემბრის №3-21 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:
**ა)** გადაწყვეტილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.
**ბ)** გადაწყვეტილების დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

[illegible]

| № | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | 0,04 | 0,05 |
| 2 | [illegible] | [illegible] | 0,08 | 0,1 |
| 3 | [illegible] | [illegible] | 0,331 | 0,41 |
| 4 | [illegible] | [illegible] | 0,128 | 0,16 |
| 5 | [illegible] | [illegible] | 0,198 | 0,25 |
| 6 | [illegible] | [illegible] | 1,72 | 2,15 |
| 7 | [illegible] | [illegible] | 1,157 | 1,45 |
| 8 | [illegible] | [illegible] | 0,16 | 0,2 |
| 9 | [illegible] | [illegible] | 0,02 | 0,025 |
| | | [illegible] | 0,08 | 0,1 |

იხ. 12 გვ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10 | [illegible] | [illegible] | 0,76 | 0,95 |
| 11 | [illegible] | [illegible] | 0,25 | 0,31 |
| 12 | [illegible] | [illegible] | 0,3 | 0,37 |
| 13 | [illegible] | [illegible] | 0,21 | 0,26 |
| 14 | [illegible] | [illegible] | 0,02 | 0,025 |
| | | [illegible] | 0,08 | 0,1 |
| 15 | [illegible] | [illegible] | 0,08 | 0,1 |
| 16 | [illegible] | [illegible] | 0,04 | 0,05 |
| | | [illegible] | 0,08 | 0,1 |
| 17 | [illegible] | [illegible] | 0,02 | 0,025 |
| | | [illegible] | 0,14 | 0,17 |
| 18 | [illegible] | [illegible] | 0,18 | 0,22 |
| 19 | [illegible] | [illegible] | 0,35 | 0,43 |
| 20 | [illegible] | [illegible] | 0,25 | 0,31 |
| 21 | [illegible] | [illegible] | 2,4 | 3 |
| 22 | [illegible] | [illegible] | 0,26 | 0,32 |
| 23 | [illegible] | [illegible] | 0,36 | 0,45 |
| 24 | [illegible] | [illegible] | 0,008 | 0,01 |
| | | [illegible] | 0,08 | 0,1 |
| 25 | [illegible] | [illegible] | 0,008 | 0,01 |
| 26 | [illegible] | [illegible] | 0,6 | 0,75 |
| 27 | [illegible] | [illegible] | 0,008 | 0,01 |
| 28 | [illegible] | [illegible] | 0,04 | 0,05 |

[illegible]

[illegible]

[illegible]

## ◎ წერილი რედაქციას

# იქნებ დამეხმაროთ

**პატივცემულო რედაქცია, ვკითხულობ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, მასში ბევრ საჭირბოროტო თემაზეა ლაპარაკი, ადამიანებსაც შეძლებისდაგვარად ეხმარებით. ამიტომაც გავბედე და გწერთ ჩემი ოჯახის თაობაზე, იქნებ დამეხმაროთ.**

სოფელ აცანაში (ლანჩხუთის რაიონი) 1990 წლიდან ვცხოვრობ. ძმასთან ერთად გადმოვედით აჭარიდან, შუახევის რაიონიდან, მეწყერსაშიში ზონიდან. 2000 წელს გაიყო ჩვენი ოჯახი, ჩემი უფროსი ძმა ძირითად ოჯახში დარჩა, მე კი მის მეზობლად შევისყიდე სახლი თავისი საკარმიდამო ნაკვეთით. ამის შემდეგ ვის არ მივმართე თხოვნით, მაგრამ არა და არ მოხერხდა ჩემი სოფელ აცანაში ჩაწერა. ფულს მთხოვენ, რომელიც მე არ გამაჩნია. მყავს სამი შვილი, ცოლი და მოხუცი მამა. ვარ უმუშევარი, რადგან სოფელში არაფერი არ მუშაობს და სად დავსაქმდე? მხოლოდ ეზოს ვუვლი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი თხოვნა, გამოაქვეყნოთ ეს წერილი, რათა ვისაც ჯერ არს მისწვდეს ჩემი ხმა და ჩემი ოჯახიც გახდეს სოფლის დამოუკიდებელი კომლი.

ჩემი ოჯახი პატიოსნად შრომობს და მგონი ღირსი ვართ ვიყოთ ამ სოფლის მკვიდრი.

**ნუგზარ მგელაძე**

## ◎ ქალაქში სიახლეა

# დაისვენეთ გორის ციხეზე!

**გორის შემოგარენი, ლიახვის ხეობის ჭალა-ტყეები, ატენის ხეობა იმთავითვე გორელების საყვარელი დასასვენებელი ადგილები იყო. აკი ერთ ხალხურ ლექსში ატენის ხეობა გორელების სამოთხედაა მოხსენიებული.**

ქართლის ამ კოპწია ქალაქის მკვიდრთ დასასვენებლად გორის ციხის მიდამოებიც არანაკლებ მოსწონდათ. ოჯახებით გამოდიოდნენ, გამოჰქონდათ ხალიჩა-მუთაქები, ციხის ფერდობზე გაშლიდნენ და საღამო ჟამს აქ მუსაიფსა და ქვეყნის ჭორების მოსმენას არაფერი სჯობდა. შემდეგ ის იყო, წინა საუკუნის ოციან წლებში მიწისძვრამ ძლიერ დააზიანა ციხე, მიწური ქოხ-მახები ქვემოთ წამოილო და იქაურობა ერთიანად გაპერანდა. სულ ბოლოს ციხის ფერდობებს გარემოვაჭრეები დაეპატრონენ... ახლა თანდათანობით ყველაფერი სასიკეთოდ იცვლება.

არის ასეთი არასამთავრობო ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაცია — ურბანული ინსტიტუტი და მისი ახალგაზრდა და საქმიანი კოორდინატორი შიდა ქართლის მხარეში ეკა ჯაფიაშვილი. მან და მისმა თანამოაზრეებმა გორის ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფთან ერთად დაამუშავეს გორის ციხის რეაბილიტაციის პროექტი. სამშენებლო სამუშაოები შეასრულეს ფირმებმა „არქმშენსტუდია-2“-მა და „მშენსაქართველომ“. რეაბილიტაციის სამუშაოები ესეს არის დასრულდა. დიდებული სანახავია დღეს ბებერი ციხის მიდამოები. გაკეთდა სამი მეტრი სიგანის 180 მეტრი სიგრძის ციხემდე მისასვლელი გზა, რომელიც რიყის ქვით მოიკირწყლა, გზადაგზა დამონტაჟდა დასასვენებელი სკამები, შეკეთდა ციხის დაზიანებული კედლები და ცხაურები, დაიდგა სანათი მოწყობილობა, შესასვლელებს ხისა და რკინის კარები შეაბეს. მოკლედ, აქაურობა დღეს ისეა გაახლებული და გაკოხტავებული, ეჭვი არაა, გაზაფხულიდან, როცა ციხის ფერდობები ამწვანდება და შეიმოსება, ადვილი შესაძლებელია, გორის ციხის, ამ უძველესი ისტორიული ძეგლის ნახვა რომელიმე ტურისტულ მარშრუტში ჩაჯდეს.







**გურამ ვაშაკიძე,**

**სურათებზე: ასე გამოიყურება დღეს გორის ციხე ძირეული რეკონსტრუქციის შემდეგ.**

**ამირან ადამიშვილის ფოტო**

№ 23. ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 2007 წელი.

„დევისის თასის“ გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფში ჩვენმა ბიჭებმა ზედიზედ დაამარცხეს სამხრეთ აფრიკის, პოლონეთისა და უნგრეთის წარმომადგენლები, რითაც პირველ ჯგუფში ალზევდნენ. ელიტაში დასაწინაურებლად კიდევ სამი ბარიერია დასაძლევი. პირველი ზღუდე პორტუგალიური იქნება. 9-11 თებერვალს სწორედ ამ ქვეყნის ნაკრებს ვუმასპინძლებთ თბილისის სპორტის სასახლეში



## ◎ ფეხბურთი

# მეზობლური

**გუშინ თურქეთის დელეგაცია თბილისს ნაშუადღევს ეწვია. ფატიჰ თერიმმა „ჯვაროსნებთან“ საბრძოლველად (ამხანაგური მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 21 საათზე დაიწყება) უძლიერეს შემადგენლობას უხმო.** მასპინძელთა საკადრო პრობლემების თაობაზე (ვერ ითამაშებენ კალაძე, ასათიანი, კობიაშვილი, არველაძე, სათუოა მინდორზე კანკავას გამოსვლაც) უკვე გაუწყეთ, ახლა მეტოქის განაცხადს გაგაცნობთ: ვოლქან დემირელი, ფაბიო აურელიო, თუნჩაი სანლი, თუმერ მეთინი („ფენერბახჩე“), საბრი სარიოღლუ, არდა თურანი („გალათასარაი“), გიოქან ზანი, იბრაჰიმ თორამანი, იბრაჰიმ უზულმესი („ბეშიქთაში“), ჰუსეინ ჩიმირი, გიოქდენიზ კარადენიზი („ტრაბზონსპორი“), მეჰმეთ თოფუზი, აიდინ თოსქალი, გიოქან უნალი („ქაისერისპორი“), სერვეთ ჩეთინი („სივასპორი“), ჰაქან არიქანი („ანკარასპორი“), სერქან ქირინთილი („ანკარაგიუჯუ“), სელჩუკ ინანი („მანისასპორი“), ჰამით და ჰალილ ალთინთოფები („შალკე“), სერჰათ აკინი („კიოლნი“), თუგაი ქერიმოღლუ („ბლექბერნი“), ფატიჰ თექე („ზენიტი“), ემრე ბელოზოღლუ („ნიუკასლი“).

**შეგახსენებთ, რომ მეზობელთა დუელს ლატვიელი მსაჯი ლაიუქსი გაუძღვება, მანამდე კი – 13 საათზე ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს მეგობარ სახელმწიფოთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდები დაუპირისპირდებიან.**

## ◎ კალათბურთი

# წილი ნაყარია

**ბარსელონაში გაიმართა ევროლიგის მეორე ჯგუფური რაუნდის კენჭისყრა, რომელმაც ელიტის ბინადრები ასე გაანაწილა:**

**„ა“ ჯგუფი** – „ტაუგრესი“, „მაკაბი“, „პო ორტეზი“, „ვირტუსი“.

**„ბ“ ჯგუფი** – ცსკა, „ოლიმპიაკოსი“, „ხუვენტუდი“, „პარტიზანი“.

**„გ“ ჯგუფი** – „პანათინაიკოსი“, „ბარსელონა“, „ეფესი“, „სოპოტი“.

**„დ“ ჯგუფი** – „დინამო“, „ბენეტონი“, „უნიკახა“, „არისი“.

ამ ეტაპის შეხვედრები 14 თებერვალს დაიწყება და 22 მარტს დასრულდება. პირველ ტურში ითამაშებენ: „ვირტუსი“ – „პო ორტეზი“, „მაკაბი“ – „ტაუგრესი“, ცსკა – „ხუვენტუდი“, „პარტიზანი“ – „ოლიმპიაკოსი“, „პანათინაიკოსი“ – „ეფესი“, „ბარსელონა“ – „სოპოტი“, „უნიკახა“ – „ბენეტონი“, „არისი“ – „დინამო“.



თითოეული ჯგუფიდან მეოთხედფინალის საგზურს ორ-ორი საუკეთესო კლუბი მოიპოვებს. შეგახსენებთ, რომ ევროლიგის მოქმედი ჩემპიონები მოსკოველი არმიელები არიან.

## ◎ რას წერენ ჩვენზე

# წინათ და ახლა

**საქართველო, „დინამო“ (თბილისი)**

**იყო: დავით ყიფიანი და კოტე მახარაძე. პირველი – ამიერკავკასიის ყველა ბიჭუნას კერპი. მეორემ თავისი საუკეთესო რეპორტაჟი გადმოსცა, როცა სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ თასების თასის ფინალში გერმანელები დაამარცხა.**



**არის:** რამდენიმე სკანდალის გადატანისა და ყოფილი დიდების დაკარგვის შემდეგ ქართული ფეხბურთი ფეხზე დგება. მას ხელს უწვდის ადგილობრივი მეწარმე, რომლის ძებნა რუსეთის გენპროკურატურამ გამოაცხადა. „მე უკვე თბილისის „დინამოს“ მფლობელი ვარ და ამ გუნდის აღორძინებას ვგეგმავ“, – ასე უპასუხა ჟურნალისტებს ბადრი პატარკაციშვილმა ინგლისის ჩემპიონატში მისი კომერციული ინტერესების შესახებ შეკითხვაზე.

ამბობენ, რომ ბიზნესმენმა ქვეყნის მთავარი საფეხბურთო მშვენება ერთ მილიონ დოლარად იყიდა. კიდევ ამბობენ, რომ მან ფული ბრაზილიურ კლუბ „კორინტიანსშიც“ ბლომად ჩადო. თუმცა, ლათინურ ამერიკასთან თბილისის კავშირების მიუხედავად, გუნდის დაკომპლექტებისას ქართველები ჯერჯერობით შინაურ კადრებზე ორიენტირებას ამჯობინებენ.

**სათვალავში თუ არ ჩავაგდებთ რუსეთსა და უკრაინას, ქართული „დინამო“ დღეს ფინანსური კეთილდღეობით მოწინავეთა შორის დაბიჯებს.** ექსპერტების აზრით, გუნდის ბიუჯეტი 15 მილიონ დოლარამდე აღწევს.

## ◎ ორბიტაზე

### სეზონში უსწრაფესნი

**დიდი შემართებით დაიწყეს ახალი სპორტული სეზონი მძლეოსნებმა. ეს ნათლად გამოვლინდა შტუტგარტში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე. ნიგერიელმა ფასუბამ 60 მეტრი სეზონის საუკეთესო დროში – 6,49 წამში გაირბინა.** 800 მეტრზე სირბილში მსოფლიოში სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა კენიელმა ბუნგეიმ – 1,45,72 ალჟირელმა ზერგელენმა კი 1500 მეტრი ასევე საუკეთესო დროში გაირბინა – 3,39, 49, ასევე ისახელა თავი 3000 მეტრზე სირბილში კენიელმა კორირიმ – 7,37,35, მათ არც კუბელი რობლესი ჩამორჩა 60 მეტრზე თარჯრბენში – 7,39. ჭოკით ხტომაში კი ყველა დაჯაბნა ოტტომ (გერმანია) – 5,88 მეტრი.



მამაკაცებს არც „სუსტი სქესის“ წარმომადგენლები ჩამორჩნენ – 60 მეტრზე უსწრაფესად ირბინა ჯონსმა (ვირჯინიის კუნძულები) – 7, 16, ისევ ჯონსმა ისახელა თავი 400 მეტრზე სირბილშიც – 51, 60. ყველას აჯობა 800 მეტრზე უკრაინელმა პეტლიუკმა – 1,58,67.

უსწრაფესი წარმატებებით სავსე იმ დღის გვირგვინი იყო მსოფლიო რეკორდი, 3000 მეტრზე ეთიოპიელმა მეზერეტ დეფარიმ რომ დაამყარა – 8.23,72, ეს 4 წამით უკეთესია ადრინდელ რეკორდზე, რაც რუსეთელ ლილი შუბუხოვას ეკუთვნოდა.

### ყველაზე სასურველი

**მამაკაცებისთვის განკუთვნილმა ამერიკელმა ინტერნეტ-პორტალმა Ask Men. com შეადგინა პლანეტის ყველაზე სასურველი ქალების ახალი სია. სპორტთან დაკავშირებული ლამაზმანებიდან ამ სიაში მეჩვიდმეტე ადგილზეა ტელესერიალ „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავი და ამავე დროს „სან-ანტონიოს“ კალათბურთელის ტონი პარკერის საცოლე ევა ლონგორია. შარშანდელ მეათე ადგილთან შედარებით ეს უკანდახევაა, მაგრამ მას მომავლის იმედი აქვს.**

2008 წელს ლონგორია ისევ მოხვდება პირველ ათეულში – ის ალბათ აღარ ჩამოვა ჟურნალების ფურცლებიდან, ერთ ახალ ფილმში ილებენ ჯეისონ ბიგსთან ერთად, მულტფილმსაც ახმოვანებს მაიკლ დუგლასისა და კიმ ბესინჯერის კომპანიაში.

თანაც ამ ზაფხულში დანიშნულია ლონგორიასა და პარკერის ქორწილი, რაც დიდ სალაპარაკოს მისცემს პრესას.



## ◎ ჩოგბურთი

# როცა ელიტა ხელის გაწვდენაზეა

**შარშან საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრებმა (ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე, გიორგი ჭანტურია, კაპიტანი გელა ელერდაშვილი) არნახულ წარმატებებს მიაღწია. „დევისის თასის“ გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფში ჩვენმა ბიჭებმა ზედიზედ დაამარცხეს სამხრეთ აფრიკის, პოლონეთისა და უნგრეთის წარმომადგენლები, რითაც პირველ ჯგუფში ალზევდნენ. ელიტაში დასაწინაურებლად კიდევ სამი ბარიერია დასაძლევი. პირველი ზღუდე პორტუგალიური იქნება. 9-11 თებერვალს სწორედ ამ ქვეყნის ნაკრებს ვუმასპინძლებთ თბილისის სპორტის სასახლეში.**

**გვესაუბრება საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი.**

– ცოტა შორიდან მინდა დავიწყო და შარშანდელი გამარჯვებები გავიხსენო, – გვითხრა მან. – კენჭისყრამ გაგვიმართლა და შარშან აპრილში სამხრეთაფრიკელებს შინ ვეთამაშეთ. იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ბიჭები სწრაფსაფარზე უკეთ ასპარეზობენ, ირაკლი ლაბაძემაც და ლადო ჩიხლაძემაც დაძაბულ ბრძოლაში ერთნაირი ანგარიშით (2:3) დათმეს თავიანთი შეხვედრები მეტოქის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელ ვესლი მუდისთან, რომელიც წყვილებში უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებულია. სამაგიეროდ, მათ მუდისა და ჯეფ კუციას დუეტი დაამარცხეს. ერთეულთა თანრიგში ირაკლიმ და ლადომაც იზაკ ფან დერ მერვეს სძლიეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ჩიხლაძის თამაში, რომელმაც 40-მდე ეისი მოაწოდა. სამხრეთაფრიკელთა კაპიტანმა ჯონ ლაფნი დე იაგერმა მატჩის შემდეგ აღნიშნა კიდეც, ასეთი სასწაული კარგა ხანია, არ მინახავსო.

ჯგუფის მეორე შეხვედრა პოლონელებთან გავმართეთ გდინიაში. ვარშავიდან საქომაგოდ ჩამოვიდა პოლონეთში საქართველოს ელჩი კოტე ქავთარაძე, რომელმაც დაუვიწყარი შეხვედრა მოგვიწყო, რამაც ერთგვარი სტიმული მისცა გუნდის წევრებს. ტრიბუნებზე ჩვენს გვერდით ისხდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში საქართველოს ელჩი დავით აფციაური მეუღლითურთ და ლადო ჩიხლაძის მშობლები. მართალია, საქართველოს დელეგაცია მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ გულშემატკივრობაში აშკარად ვაჯობეთ მასპინძლებს. ბიჭებმაც არ დაგვალალატეს.

ასპარეზობის პირველ დღეს ლაბაძემ მიხალ პრჟისიეჟნის სძლია 3:1 (3:6, 6:3, 6:4, 6:4), ხოლო მასპინძელთა ლიდერმა ლუკაშ კობოტმა ჩიხლაძეს მოუგო 3:0 (7:5, 6:4, 6:2). ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ პოლონელმა



ქართველი მეტოქე შეაქო, თან დაიქადნა, ლაბაძესაც დავამარცხებ და მეხუთე პაექრობას აზრს დავუკარგავო.

მართლაც, მასპინძლები ახლოს იყვნენ მიზანთან მას შემდეგ, რაც წყვილთა ორთაბრძოლაში მარიუშ ფირსტენბერგმა და მარცინ მატკოვსკიმ იმარჯვეს. მართალი გითხრათ, ჩვენებს მაინცდამაინც თავი არ მოუკლავთ, რადგან ძალები შეჯიბრების ბოლო დღისთვის შემოინახეს. მით უმეტეს, რომ ირაკლის ტრავმა აწუხებდა. მან მართლაც სპორტული გმირობა ჩაიდინა – ნაღრძობი ფეხით გავიდა კორტზე და ხუთ სეტში სძლია მეტოქეს, რითაც ანგარიშში წონასწორობა აღადგინა. ბოლო მატჩში მასპინძლებმა ჩიხლაძის წინააღმდეგ პრჟისიეჟნის ნაცვლად ფირსტენბერგი ათამაშეს. პოლონელთა იმედს ძალლონე არ დაუზოგავს, თუმცა ვერაფერს გახდა და სამ ხელში დათმო (5:7, 6:7, 6:7) შეხვედრა.

შარშან სექტემბერში მესამე მატჩი უნგრელებთან გვქონდა სტუმრად. ბუდაპეშტში რომაი ტენის აკადემიის კორტებზე ორთაბრძოლები ჩვენთვის არასახარბიელოდ დაიწყო. ლაბაძემ რეიტინგლისტში მასზე ბევრად დაბლა მდგომ შებო კიშთან წააგო (1:3), ხოლო ჩიხლაძე ასეთივე ანგარიშით კორნელ ბარდოცკის დანებდა. ამგვარ დასაწყისს თვით მასპინძლებიც არ მოელოდნენ. სამაგიეროდ, ჩვენმა ჩოგბურთელებმა მალევე შეძლეს შოკური მდგომარეობიდან გამოსვლა და წყვილთა დუელში შედარებით იოლად დაამარცხეს ბარდოცკი და დარდაი კიშდიორდი. დასკვნით დღეს ირაკლიმ და ლადომ მეტოქეებს (შესაბამისად, ბარდოცკი და კიში) წარმატების იოტისოდენა შანსიც კი არ დაუტოვეს. საბოლოოდ გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა 3:2 და ევრო-აფრიკული ზონის I ჯგუფში გადავიდა.

**– აქედან ელიტამდე კი ერთი ხელის გაწვდენაა...**

– გეთანხმებით, თუმცა ეს არც ისე იოლი მისაღწევია, რადგან საამისოდ სამი ურთულესი ბარიერი უნდა გადავლახოთ. უპირველესი პორტუგალიაა, რომელსაც შინ ვეთამაშებით. ფრედერიკო გილი, რუი მაჩადო, პედრო სოუსა და გასტაო ელიასი (გუნდის კაპიტანი პედრო კორდეირო) საკმაოდ ცნობილი ოსტატები არიან. არაერთ შეჯიბრებაში უსახელებიათ თავი. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, შანსები თანაბარია. თუმცა, ისიც ვიცით, რომ პორტუგალიელები, სამხრეთაფრიკელებისა არ იყოს, უფრო თიხნარზე არიან ყოჩაღები, აქ კი სწრაფსაფარზე მოუწევთ თამაში, სადაც ჩვენებს ოდნავი უპირატესობა აქვთ. თან საკუთარი კედლების ფაქტორსაც თუ გავითვალისწინებთ, ეს ბარიერი უნდა გადავლახოთ, რითაც პირველ ჯგუფში ადგილს დავიბევებთ და მომდევნო მეტოქედ სერბეთი გვეყოლება. მატჩი 6-8 აპრილსაა დანიშნული. აქ გამარჯვებული 16 უძლიერეს გუნდში მოსახვედრად „დევისის თასის“ პირველ წრეში დამარცხებული 8 გუნდიდან ერთ-ერთს დაუპირისპირდება.

**– პორტუგალიასთან თუ წავაგეთ?**

– მაშინ ფლეი ოფის მატჩს გავმართავთ ლიგაში დასარჩენად, მაგრამ ამ ვარიანტის გაფიქრებაც არ გვინდა. ბიჭების განწყობა შესანიშნავია, მეტოქეებსაც იცნობენ. მართალია, სეზონი ახალი დაწყებულია, მაგრამ ამ შეჯიბრებისთვის ლადო ჩიხლაძემ კარგი წვრთნა გაიარა – რამდენიმე ტურნირში იასპარეზა. ცოტა ირაკლის მდგომარეობა გვაღელვებს – სერიოზული ტრავმის გამო კარგა ხანია არ უვარჯიშია. ერთი თვეა, რაც შეუდგა თასის გათამაშებისთვის მზადებას. გამოცდილი ჩოგბურთელია და მისი გვეიმედება.

**– საორგანიზაციო საკითხებზე რას იტყვით?**

– მოგეხსენებათ, ხალიჩა შარშან შევიძინეთ, ამიტომ წლეულს საორგანიზაციო თვალსაზრისით ნაკლები პრობლემები გვქონდა, თუმცა სპორტის სასახლეში გათბობის მდგომარეობა მაინც არ არის მთლად სახარბიელო. გუნდებმა უკვე გამართეს პირველი საწვრთნელი ვარჯიშები. შენიშვნები არ გამოუთქვამთ. ვნახოთ, რას გვეტყვის შეჯიბრების მთავარი მსაჯი იტალიელი კარმელო დიდიო. მგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება...

ასე რომ, ქართული ჩოგბურთის გულშემატკივრებს 9-11 თებერვალს სპორტის სასახლეში ვიწვევთ. ერთობლივი ძალისხმევით პორტუგალიელ ჩოგბურთელებსაც უნდა ვაჯობოთ.

**ვაჟა დანელია**

№ 23. ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 2007 წელი.

● კომისია გამოსაცემად ამზადებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიის ერთტომეულს და საამისო მუშაობა უკვე დაწყებულია



პირველად!

# ტაძარსა შინა რაცა არს, მირონად გადმოდინდების...

**ის საღამო სრულიად გამორჩეული გამოდგა. იმით დაიწყო, რომ დიდებული წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში გაფენილი წითელი „ბილიკის“ გაყოლებით აქეთ-იქით ჩამწკრივდნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები მეუღლეებსა და სხვა მიწვეულებთან ერთად. „მრავალჟამიერის“ დაგუგუნებასა და ზარების რეკვაში გრძელ ხალიჩაზე შემოვიდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. ღიმილიანი სალმის ორმხრივი „ჩამორიგებით“ ისინი ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზისაკენ გაემართნენ და დამხვდურნი კოლონად გაიყოლეს. მთელი საზეიმო მსვლელობა გამოვიდა...**

დიახ, კათალიკოსმა სწორედ ამ დარბაზში მიიწვია საშობაო და საახალწლო მიღებაზე აკადემიის წევრები (აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტებიძ მეუღლეებითურთ. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში საპატრიარქომ პირველად უმასპინძლა აკადემიას. უწმინდესმა თბილი და ამაღელვებელი სიტყვით მიმართა შეკრებილთ, ღირსშესანიშნავი დღე მიულოცა, ქართული მეცნიერება ქვეყნის სახელ, სიამაყედ, ძლიერების საწინდრად გამოაცხადა და ქართველ სწავლულთ ყოველგვარი დახმარება თუ თანადგომა აღუთქვა. ღმერთმა დაგლოოთ თქვენა და თქვენი ოჯახებიო, ნაცნობი და ახლობელი აკორდით დაასრულა.

საპასუხო სიტყვაში აკადემიის პრეზიდენტმა მხურვალე მადლობა მოახსენა მთავარ მასპინძელს და საპატრიარქოს, ხაზი გაუსვა სულიერებისა და ცოდნის, რწმენისა და მეცნიერების ერთიანობის, ჰარმონიული ურთიერთშერწყმის მნიშვნელობას. ბატონმა თამაზმა პატრიარქს საჩუქრად მიართვა წმინდა დავით აღმაშენებლის ვერცხლის ხატი, აკადემიკოს თენგიზ სანაძის, ფიზიკოს-ექსპერიმენტატორის, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთგზის ოქროსხელებად მოხსენიებულის ქმნილება...

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე აკადემიკოსი როინ მეტრეველი და აკადემიის ღვთისმეტყველებისა და რელიგიის ისტორიის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ზაზა აბაშიძე (თავმჯდომარე თავად უწმინდესი ბრძანდებაძ. სხვათა შორის, ითქვა, რომ კომისია გამოსაცემად ამზადებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიის ერთტომეულს და საამისო მუშაობა უკვე დაწყებულია.

მიწვეულთა დასაჩუქრების ჯერიც დადგა და აკადემიის ყოველ წევრს უწმინდესის ხელით გადაეცა საპატიო სიგელი და წიგნი „ნათელი ქრისტესი საქართველო“. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქართველი ერის წინაშე დიდი ღვაწლისა და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საქართველოს საპატრიარქოს სიგელით დაჯილდოვდა (ესა და ესძ. ღმერთმა დალოცოს იგი და მისი ოჯახი“. მეორე ჯილდოს რაც შეეხება, ეს არის მასიური (6 კილოგრამამდე წონისაძ, საუცხოო პოლიგრაფიულობით დასტამბული წიგნი (მასიურობამ არაერთ დაჯილდოებულს შეუქმნა „ტრანსპორტირების“ პრობლემა; განსაკუთრებით მძიმე დღეში აღმოჩნდებოდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რისმაგ გორდეზიანი, რომელსაც საკუთარი ცალის გარდა სიდედრის, აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის ეგზემპლარიც გაუხდებოდა წასაღები...ძ. „ნათელი ქრისტესი საქართველო“ ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომის პირველ ტომს შეადგენს და მართლაც რომ ფასდაუდებელი საჩუქარია (როგორც ამბობენ, თითოეული ცალი 700-800 ლარი დამჯდარა...ძ.

ორ ნაწილად, სიმეტრიულად მსხდომი აუდიტორიისთვის ცერემონიალი ორ დიდრონ ეკრანზე გაშუქდა და კარგად ჩანდა და ისმოდა, რაც „პრეზიდიუმში“ ხდებოდა. საღამო დაამშვენა საპატრიარქოს შესანიშნავმა მგალობელთა გუნდმა, რომელმაც ჩინებულად იმღერა პატრიარქის შეთხზული ლამაზი საგალობლები.

მერე ის იყო, შეკრების მონაწილენი დარბაზიდან თვით ტაძარში ავიდნენ უწმინდესის მოწოდებით და სანთლები დაანთეს. საერთო განწყობა გამოხატა აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, რომელმაც ჩვენთან საუბარში თქვა:

– პირველად შედგა მთელს ჩვენს ისტორიაში ღვთისმსახურთა და სწავლულთა ასეთი შეხვედრა და დღევანდელი დღე ერთობ მნიშვნელოვანია საკუთრივ ქართული ეკლესიისთვისა და ქართული მეცნიერებისათვის. ულრმეს მადლობას მოვახსენებ კათოლიკოს-პატრიარქს ჩვენი დაფასებისა და შეფასებისათვის.

ბატონი ილია II დიდი ხანია, რაც მეცნიერებისა და რწმენის ურთიერთკავშირის ხაზს ატარებს და ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. ყველამ მდაბლად უნდა დავხაროთ თავი ამ დიდებული პიროვნების წინაშე, ვუთხრათ მადლობა და ჯანმრთელობა და მრავალი წლის სიცოცხლე ვუსურვოთ ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

...იმ საღამოდან ყველანი თითქოს მირონწასმული და მალცხებული ვბრუნდებოდით...

**თამაზ ებანოიძე**

**მინაწერი: აკადემიკოს თენგიზ სანაძის ნაწარმოები ღირსია დაწვრილებითი აღწერისა. დავით აღმაშენებლის ხატი ტრიადადაა ჩაფიქრებული – „განათლება. მეცნიერება. სულიერება“. ცენტრალური ფიგურა დიდი მეფეა, სანთლის მოდელიდან ვერცხლით ჩამოსხმული და კანონიკური ხატის ასლს წარმოადგენს. მას ერთი ხელით გრაგნილი უპყრია, ცოდნის, განათლების, მეცნიერების გამომხატველი, მეორეთი – გელათის მონასტერი, რწმენისა და სულიერების სიმბოლო.**

**ჩარჩოს ფირფიტები აგრეთვე ამოსხმულია უმაღლესი სინჯის ვერცხლისაგან სანთლის მოდელებზე, ტიხრული მინანქრის ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით (2006 წელს გაცემული საქართველოს პატენტი V 1238ძ. ტიხრული მინანქრის ჩარჩოში ჩასმულია რვა წმინდანი (ამრიგად, ხატი ცხრაფიგურიანიაძ, კანონიკურისავე ხატების ასლები: ივერიის ღვთისმშობელი, წმინდა ნინო, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები (ათონელებიძ, ამავე დროს ჯვრის გამომსახველნი; კუთხეებში – ზემოთ გრიგოლ ხანძთელი და არსენ იყალთოელი, ქვემოთ – ილია მართალი და ექვთიმე თაყაიშვილი.**

**შერჩეულია ის წმინდანები, რომლებმაც საქართველოში განათლებასა და მეცნიერებას სრულიად გამორჩეული ღვაწლი დასდეს (ავტორს კონსულტანტებად ყავდნენ საპატრიარქოს თანამშრომლები და ისტორიკოსებიძ.**

**აქ აღბეჭდილი სურათი სრულად ვერ გადმოსცემს იმ შთაბეჭდილებას, რასაც თვით ხატი ახდენს მნახველზე და ვერც იმ მშვენიერებას, რომელიც მნახველის გაოცებას იწვევს.**

**აკი აღმოხდენია უწმინდესსა და უნეტარესს, ლამაზი ხატიაო.**

**და კიდევ: ქართული ორნამენტები თენგიზ სანაძემ შეარჩია პროფესორ ლადო ქუთათელაძის კოლექციიდან (მხატვარ აპოლონ ქუთათელაძის ძმა გახლდათძ...**

გამოცა

# „ცხინვალი ჩვენი გულების ნაწილი...“

## ერედველი პოეტების სალიახვო ამირანივით მთებზე მიუჯაჭვავთ

**„მე იმ არაგველს, მარტყოფელს ვგავარ მამულისათვის თავს რომ სწირავდნენ“,** – ეს სტრიქონები ერედველ პოეტს ვლადიმერ ბერუაშვილს ეკუთვნის. მისი რვეული ჭრილობაა, გულის სისხლჩაწურული, რომელიც მშობლიური ცხინვალის სევდით ავსებულა. დროის შავი ფარდის მიღმა გოდებს ბავშვობა და სიყმაწვილე, უბით ნატარები „სავსე მთვარე ღამის ბინდისა...“





უზრუნველი და ლამაზი წლები „პოლიტიკის ქარმა“ არია. სისხლი დაიღვარა ქართლში ზღვასავით. ნაღველმა იმძლავრა. პოეტის ცრემლიდან იმედიანი სტრიქონები იბადება:

**„ოცი საუკუნის ლიახვის ტირიფო,**
**ჯერ ნუ წაგიხდება სიცოცხლის ხალისი,**
**არავინ არა თქვას შენზე, რომ ტირისო,**
**ამ მთებზეც ჰკიდია ფარი ჯურხაისი“...**

სამაჩაბლოელი კაცის ლექსებში გველის წელიწადი სიმბოლურად მტერთან გაიგივებულა, რომელიც გველივით ლიხნით შემოვიდა, ქართლი დაგესლა, სისინით გაიარა როკის გვირაბი და **„ეშმაკთაგან ჩაცმული კვართი სამაჩაბლოში გაიძრო როკვით“.**

ვლადიმერ ბერუაშვილს ნაღველი ეძალება, გაუცხოებული, მტრობის თესლჩაგდებული ქართლის ხილვისას:

– საქართველოს ისტორიას ახსოვს ოსების მამა-პაპათა მონაწილეობა ოსმალებისა და სპარსელების წინააღმდეგ ომებში ქართველების მხარეზე. სწორედ მათი წინაპრების ძვლები არ აპატიებენ სეპარატისტებს, რუსეთის წაქეზებით ერთ საუკუნეში ორჯერ რომ დაარტყეს ზურგში საქართველოს.

ჩვენ – ქართველებმა და ოსებმა უნდა აღვადგინოთ მესამე ძალის ჩარევის შედეგად ჩატეხილი ხიდი. კონფლიქტის დროს ქართველებისა და ოსების უცოდველი სისხლი დაიღვარა, მრავალი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, გამარჯვება კი ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს დარჩა...

დანანებით ამბობს მრავალი ლამაზი სტრიქონის ავტორი, სამაჩაბლოელი პოეტი და წუთითაც კი ვერ წარმოუდგენია საქართველო უაფხაზეთოდ და უშიდაქართლოდ.

მისი სალიახვო ამირანივით მთებზე მიჯაჭვულა, მაგრამ: **„კვლავ დაიწმინდება ზეკართან ლიახვი, იქ, სადაც ამირანს კორტნიდა არწივი, და აღორძინდება მრავალი სიახლით ცხინვალი, ჩვენი გულების ნაწილი“.**

იგივე რწმენა გასდევს ვლადიმერ ბერუაშვილის ბავშვობის მეგობრის ომარ ტურაშვილის ლექსებს. ორი ერედველი მამულიშვილის პოეზია ლიახვის მღელვარე ტალღებივით სევდიანი და ეროვნულია. ორივე კრებული: **ვლადიმერ ბერუაშვილის „დრო მეუფეა“** და **ომარ ტურაშვილის „სევდიანი საღამო“** „ოპიზამ“ გამოსცა (გამომცემელი იულონ ტოლიაშვილიძ.

ეს ორ წიგნი ფესვძლიერ მუხასავით უმკლავდება დროის ქარსა და ავდარს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

ელამი სარკე

# მიპატიჟება კოლხეთში

**გიგოლას უცხოური ტელესერიალები მაინცდამაინც გულზე არ ეხატება, მაგრამ ამ ბოლო ფილმის საყვარულო პასაჟებმა რატომღაც ძალიან გაიტაცა. რუსიკო მიხვდა რატომაც და ქმრის სექსუალური განტვირთვა განიზრახა.**

– აღე ქა, რას ჩააკვდი მაგ სერიალსა, სადმე გაისეირნე.

– სად გავისეირნო, დედაკაცო, ვენახშია?

– რატო ვენახშია, რა, ამხელა ქვეყანაში სხვა ადგილი აღარ მოიძებნება?

– რომელი ადგილი, წყალგაღმა რო გეგულება?

– იქ ჩემი მტერი წავიდა ქა, ჩვენთვინ კაი რამე მაქჩაფიქრებული.

– აბა თქვი!

– ამ შუა ზამთარში საქმე მაინც არა გვაქ და მოდი სამეგრელოს ვეწვიოთ.

– გაგიჟდი, დედაკაცო, სამეგრელოში რა მინდა?

– არაფერიც არ გავგიჟდი, სიცოცხლეში ერთხელ მაინც ხო უნდა ვნახოთ ქა, ძალიან ლამაზი ყოფილა.

– სამეგრელო, თორე გურიახოსუ ფეხითა გვაქ მოვლილი.

– იქვე არ არი, სამეგრელოში თუ ჩავალთ, აქეთობაზე გურიაშიც შევიაროთ და იმერეთშიც.

– მერედა ვინ გვეპატიჟება?

– დაპატიჟება რად გვინდა, ისე არ მიგვიღებენ?

– აბა დაუპატიჟებლად დავადგეთავზე მეგრელებს და გურულებს?

– ისინი შენსავით გახეტებული კი არ არიან ქა, უცხოს რო დაინახავენ, ვიდრე შინ არ შეიყვანენ და არ გამოათრობენ, ვერ მოისვენებენ.

– მერე, რით უნდა გამომათრონ?

– აღესითა ქა, აღესის მეტი რა აქვთ.

– მე აღესის დამლევი არა ვარ.

– მაშინ ღვინო აქედან წავიღოთ.

– აბა რას ამბობ, ქალო, აქედან იქ ღვინო რო არ ვათრიო, მაგას არა სჯობია, მეგრელები და გურულები აქ დავპატიჟო?

– დავპატიჟოთ მაგრამა, იქაურობა როგორღა ვნახო?

– მერე ვინ დაგავალა, ნახეო?

– პრეზიდენტმა ქა.

– პრეზიდენტმა?

– ჰო, ამას წინათ თქვა – მთელი კახეთი სამეგრელოსა და გურიაში არი ჩასულიო და ჩვენ რატო უნდა გამოვაკლდეთ.

– ჰოდა პრეზიდენტმა წაგიყვანოს, მე ვერ წამოვალ.

– პრეზიდენტს ჩემთვის სადა სცალია, ქა!

– პრეზიდენტს არა სცალია და მე მცალია? რას ამბობ, მაგასაც ვენახი არ ჰქონდეს გასასხლავი ან ვაზის ძირები გამოსათოხნი.

– მარტო ვენახი ხო არ არი, ქა, აგე თერთმეტსართულიანთან შადრევნის მშვენებლობა გახლაფორთებია და თავს ვერ ანებებს.

– რა ჩემი საქმეა, რო მორჩება, მერე წაგიყვანოს. თუ არადა, რაღა ახლა გაგახსენდა სამეგრელო?

– ადრე იქ არავინ შეგვიშვებდა და იმიტომ.

– ეგ ვიღამ თქვა?



– პრეზიდენტმა – ვარდების რევოლუციამდე, საქართველოს კუთხეებს ერთმანეთთან მიმოსვლა არა ჰქონდათო.

– ეგ საიდან მოიგონა?

– არაფერიც არ მოუგონია. თვით ასლან აბაშიძეც კი თურმე თბილისში ნამყოფი არა ყოფილა.

– რატო?

– რევოლუცია ჯერ არ იყო მომხდარი და როგორ ჩამოვიდოდა?

– აბა მოსკოვში როგორ გაფრინდა?

– იქ თურმე რევოლუციები არ ხდება.

ამ საუბარში იყვნენ, რომ ეკრანზე უცებ ერთი ლოშნა-პროშნა და ხვნეშა-ქოშინი ატყდა. ცოლ-ქმარი მოსალოდნელის მოლოდინში გაისუსა.

**ოტია ჩართოლანი**

№ 23. ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 2007 წელი.

**მისი ცხოვრება ერთი დიდი საინტერესო წიგნივით შეიძლება გადაფურცლო, ამ წიგნის სტრიქონები ჭეშმარიტი პოეზიითაა გამსჭვალული, სტრიქონებს შორის კი მამის ფასდაუდებელი მემკვიდრეობა, მოყვასისადმი სიყვარული იკითხება...**



## სანთელი

# ჩვენი ძვირფასი ნიტა ტაბიძე



დღეს ვეთხოვებით ქალბატონ **ტანიტ ტაბიძეს,** მოყვასის სიყვარულისთვის წამებული პოეტის ტიციან ტაბიძის ქალიშვილს, ქალს, რომელმაც არათუ ღირსეულად ატარა ძვირფასი მამის სახელი, თავადაც შექმნა პოეზიის, მთელი ეროვნული კულტურის ოაზისი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ქართული, რუსული, უცხოური პოეზიის ურთიერთობათა არაერთი ბილიკი ნიტა ტაბიძის ცხოვრებაზე გადიოდა. ურთიერთობებსაც ვერ უწოდებ მათ. ეს იყო მეგობრობა, სიყვარული, ჭეშმარიტად ადამიანური შემოქმედება, რომელსაც არა აქვს ეროვნული საზღვარი.

მისი ცხოვრება ერთი დიდი საინტერესო წიგნივით შეიძლება გადაფურცლო, ამ წიგნის სტრიქონები ჭეშმარიტი პოეზიითაა გამსჭვალული, სტრიქონებს შორის კი მამის ფასდაუდებელი მემკვიდრეობა, მოყვასისადმი სიყვარული იკითხება... სანამ ასეთი ადამიანები არსებობენ, ძნელი დასაჯერებელია, რომ მე-20 საუკუნით დამთავრდა რომანტიზმის ეპოქა საქართველოში, რომ ისტორიას ჩაბარდა ადამიანური ურთიერთობები და ღირებულებები, სადაც არ არსებობს საზღვარი ერებს შორის, რომ ახალმა ცხოვრებამ წაშალა მისი ყოველი კვალი.

ქალბატონი ნიტას გული ათბობდა ყველას, ნაცნობსაც და უცნობსაც, მამულიშვილსაც და უცხოელსაც. მან გამორჩეული ცხოვრებით იცხოვრა... უკანასკნელ წუთამდე ატარებდა თავისი ღირსეული მამის ხატს გულის გულში, თავისი ძვირფასი დედის, ქალბატონ ნინოს ხსოვნას, თავისი უდროოდ გარდაცვლილი მეუღლის ალიკ ანდრიაძის სიყვარულს, თავისი უსაყვარლესი მეგობრების მოგონებას...

ნიტა ტაბიძე არ იყო პოეტი, მაგრამ იყო პოეტური მუხტის მატარებელი, დღეს იშვიათობად ქცეული რომანტიული სულის ადამიანი... და ჩვენთვის, ქართველი მწერლებისთვის დიდი დანაკლისია ამ ჭეშმარიტად შემოქმედებითი სულის პიროვნების ცხოვრებიდან წასვლა.

**საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი**

# ცისფერყანწელთა ორდენის პატარა ყვავილი



ის ლექსებს არ წერდა. თავად იყო ლექსი, ლექსი სიკეთისა და ამაღლებისა. მან დიდი ამაგი დასდო მამის მემკვიდრეობას. სწორედ მისი და ქალბატონ ნინო მაყაშვილის დამსახურებაა, რომ დღეს გრიბოედოვის ქუჩაზე ტიციანის რიგიანი მუზეუმია.

ნიტა ნაღდი ლიტერატორი გახლდათ; საუკეთესო მცოდნე არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო მწერლობისა.

რა დამავიწყებს ჭყვიშში, გოლიათი ცაცხვის ქვეშ მის მიერ თრთოლვით წარმოთქმულ ბორის პასტერნაკის ლექსებს.

რამდენიმე წლის წინათ გულისნადები გამანდო: — ძალიან მინდა გამოვცე კრებული „ტიციანი ლიტერატურულ კრიტიკაში", შენი იმედი მაქვსო...

ნათესავ-ახლობელთა ქომაგი და მეოხი გახლდათ. პირველი იყო ლხინსა და ჭირშიაც. ამიტომაც შევარქვი — ტაბიძეების ციფერბლატი.

... წავიდა ჩვენგან ტანიტ ტაბიძე — ცისფერყანწელთა ორდენის პატარა ყვავილი; წავიდა და ანდერძად დაგვიტოვა: გავუფრთხილდეთ ტიციანის პოეზიას, გავუფრთხილდეთ ქართულ სიტყვას, გავუფრთხილდეთ ურთიერთს!

**ნოდარ ტაბიძე**

## ხსოვნა

# ალექსანდრა ხავთასი



ქართულ სამედიცინო საზოგადოებას გამოაკლდა ღვაწლმოსილი მკვლევარი და პრაქტიკოსი ექიმი, შრომის მედიცინის მოამაგე, საქართველოში პროფესიული ნევროლოგიის დამფუძნებელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ალექსანდრა (ალენა) ხავთასი.**

1949 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, ჩაირიცხა აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილის ნევროლოგიური კლინიკის ორდინატურაში, სადაც პროფესორ თამარ ღლონტის უშუალო ხელმძღვანელობით დაეუფლა კლინიკური ნევროლოგიის საფუძვლებს და აღიარებული იქნა, როგორც ნიჭიერი მზარდი კლინიცისტი ნევროპათოლოგი.

კლინიკური ორდინატურის დამთავრების შემდეგ კონკურსის საფუძველზე არჩეულ იქნა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე ნ. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც უცვლელად განაგრძო მოღვაწეობა ნახევარი საუკუნის მანძილზე უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობიდან, პროფესიული ნევროლოგიის განყოფილების გამგისა, შემდეგ კი სამკურნალო დარგში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობამდე. მან შექმნა პროფესიული ნევროლოგიის მიმართულება საქართველოში, აღზარდა მრავალი პრაქტიკოსი ექიმი ნევროპათოლოგი — პროფპათოლოგი.

1966 წელს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მას მიანიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ფრიად სერიოზულ სამეცნიერო შრომის შესრულების გამო, რომელიც მან მიუძღვნა ჭიათურის მაღაროელთა შორის უმძიმესი პროფესიული პათოლოგიის მანგანუმით ქრონიკული პროფესიული ინტოქსიკაციის პრობლემას. მან პირველმა მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში დაამტკიცა და აღწერა მანგანუმით პროფესიული მოწამვლა ჭიათურის მაღაროელთა შორის, მანგანუმისმიერი პარკინსონიზმის შემთხვევები.

80-მდე სამეცნიერო შრომა ეკუთვნის ქ-ნ ალენა ხავთასის კალამს, მათ შორის მის მიერ დაწერილია ცალ-ცალკე თავები პროფესიული პათოლოგიის სახელმძღვანელოში სტუდენტთა და ექიმებისათვის, რომელიც პროფ. ს. ყიფიანის ავტორობით გამოიცა 1972 წელს.

ქ-ნი ალენა პრინციპული ორგანიზატორი და ხელმძღვანელი გახლდათ, ყოველთვის სარგებლობდა მაღალი ავტორიტეტით და პატივისცემით. დაჯილდოვებული იყო „ჯანდაცვის ფრიადოსნის ნიშნით", მრავალი მედლით, მას მიენიჭა პერსონალური პენსიონერის, აგრეთვე შრომის ვეტერანის წოდება.

გაიარა რა ხანგრძლივი ცხოვრება, მაქსიმალურად მიუძღვნა თავისი ცოდნა საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას და პროფესიული პათოლოგიის დარგში ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებასა და დახელოვნებას.

მისი ნათელი სახელი და დიდი ღვაწლი სამამულო პროფესიული მედიცინის განვითარებისა და წინსვლის საქმეში სამარადისოდ აღიბეჭდა ქართული პროფესიული პათოლოგიის განვითარების ისტორიასა და მადლიერი პაციენტების, მოწაფეების, კოლეგებისა და თანამოაზრეთა მეხსიერებასა და გულში.

**სს პროფ. ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გარემოსა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტი.**

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1963 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი

დევი (იური) იურის ძე კაჭარავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ზაირა, შვილები რეზო, რამაზ, ნუგზარ ტვილდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზოსიმე ტვილდიანი

პანაშვიდი 7 II, 16 სთ. გამოსვენება 8 II, 14 სთ. მის.: ვაჟა-ფშაველას გამზირი №7. კორპ №22.

---

გარდაიცვალა დიდი და ღირსეული ოჯახის შვილი, დიდებული დედა, უკეთილშობილესი პიროვნება, საზოგადოებისათვის საპატივცემულო და საყვარელი

ნიტა ტაბიძე

თანაგრძნობას ვუცხადებთ ნინო და ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძეებს და მათ ოჯახებს ქალბატონი ნიტას გარდაცვალების გამო.

**ირაკლი, თემური, მარინა, ნოდარ ანდრიაძეები ოჯახებით**

---

ვაჟა, ავთანდილ, კახაბერ, შალვა ქურდიანები ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, დიდებული ოჯახიშვილის, სიკეთით აღვსილი პიროვნების, უსათნოესი ქალბატონის

ნიტა ტიციანის ასული ტაბიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

---

მეუღლე თათუ აბდუშელიშვილი, შვილები ქეთინო, დათო, შვილიშვილები ირინა, თამუნა, ირაკლი კახიძეები, შვილთაშვილი ბარბარე გაფრინდაშვილი, რძლები ვანდა კახიძე, ტამუსია ბერიძე, მაია ონიაშვილი, ძმისწულები ვახტანგ, თეონა კახიძეები, სიძეები თემურ გაფრინდაშვილი, მაცი კვარაცხელია, გოგი ერისთავი, ცოლისძმა ვაჟა აბდუშელიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგიზ კახიძე

პანაშვიდი 8, 9 II, 17 სთ. პეტრიაშვილის ქ. №22. გამოსვენება 10 II, 14 სთ. სამების საკათედრო ტაძრიდან (ხარების ეკლესიიდან). დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

---

მე-6 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატ „შვიდკაცას" წევრები — ვანიკო მაჭავარიანი და გოგი გუგუშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე ანსამბლის წევრის

თენგიზ კახიძის

გარდაცვალებას.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ხარატიშვილის მეუღლე

ვიქტორია მჟავანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოს გურამ ხარატიშვილის მეუღლე

ვიქტორია ვასილის ასული მჟავანაძე

და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და სანათესაოს.

---

რევაზ და თამაზ გამყრელიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიქტორია მჟავანაძე-ხარატიშვილისა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება „გორგასალის" თანამშრომლები თამაზ გაფრინდაშვილი, ალეკო კაკულია, ვაჟა კემულარია, შოთა კიკალიშვილი, ოთარ ჭითანავა, თამაზ დოჭვირი თანაუგრძნობენ ბატონ ნოდარ ჭითანავას ძვირფასი ძმისა და შესანიშნავი მოქალაქის

გივი ჭითანავას

გარდაცვალების გამო.

---

ჯულიეტა კაკაბაძე, ივლიანე, ირა თოდუები, თიკო მახარაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავისა და მეგობრის, ნამდვილი მამულიშვილის

გიორგი ანდრიას ძე შავლაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

## ◎ ახალი ნომერი

# „საუნჯე" საუნჯეობს

**მიუხედავად დიდი ფინანსური გაჭირვებისა და სიძნელეებისა, მკითხველმა ამ დღეებში მაინც მიიღო მსოფლიო ლიტერატურის მთარგმნელობითი ჟურნალის — „საუნჯის" (მთავარი რედაქტორი ნანა დარჩია-ბოლქვაძე) მე-5-6 გაერთიანებული ნომერი.**




„საუნჯე" საღდეისოდ ერთადერთი „ხანდაზმული" ჟურნალია, რომელიც ქართველი მკითხველისთვის მსოფლიო მწერლობასთან დამაკავშირებელი არხია. ამდენად წარმოუდგენელიც კია ჩვენი დღევანდელობა „უსაუნჯეოდ".

ჟურნალის ამ ახალ ნომერში მკითხველი ნახავს **ხულიო კორტასარის** ორ მოთხრობას (თარგმნა გ. ზუბადალაშვილმა), **დადაისტ პოეტებს** (თარგმნა ნ. უზილავამ), **მილორად პავიჩის** „ხაზარულ სიტყვისკონას" (თარგმნა გ. გოგიაშვილმა), **რაინერ მარია რილკეს** „დუინურ ელეგიებს" (თარგმნა თ. კვიჟინაძემ), **კოსტა ხეთაგუროვის** ლექსებს (თარგმნა ს. მხარგრძელმა), **ეჟი ხარასიმოვიჩის** ლექსებს (თარგმნა რ. კალანდიამ), **დაი სიჟის** „ბალზაკსა და ჩინელ გონონას" (თარგმნა დ. იაშვილმა), **ბაგრატ შინკუბას** „გაპობილი ქვას" (თარგმნა თ. ჩიჟავაძემ).

ჟურნალის თითქმის ნახევარი დათმობილი აქვს ახალ ნობელის პრემიის ლაურეატებს.

ერთი სიტყვით, ვინც მსოფლიო ლიტერატურას ადევნებს თვალყურს, უკეთეს საჩუქარს ვერ ინატრებს.

„საუნჯის" ეს ახალი ნომერი იყიდება „მერანის" საფირმო მაღაზიაში.

# ბოლო გვერდი

● ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად, დახოცილ ფრინველებს ვირუსი არ აღმოაჩნდათ. სირაბიძის განცხადებით, ფრინველების დაცემის მიზეზი ცივი ამინდებია




## ყურადღება, კონკურსი!




### სიმღერა სამეგრელოზე

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“, ხობის მესამე საერთაშორისო ფესტივალისათვის — „სიმღერა სამეგრელოზე“ აცხადებს საესტრადო სიმღერის კონკურსს. თემა — სამეგრელო

*ფესტივალი გაიმართება 2-3 ივნისს ქ. ხობში*
*საპრიზო ფონდია — 7000 ლარი.*
*პირველი პრემია — 3000 ლარი.*
*მეორე პრემია — 2000 ლარი*
*მესამე პრემია — 1000 ლარი.*
*ორი წამახალისებელი ჯილდო 500-500 ლარი.*
*კონკურსში მონაწილეებმა განაცხადები უნდა წარმოადგინონ 28 თებერვლამდე.*
*ნამუშევრების წარმოდგენის ვადაა 5 აპრილამდე.*
*გამარჯვებულებს ჟიური გამოავლენს 10 აპრილს.*

*დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს მისამართზე: ჭავჭავაძის გამზ. 49ა.*
*საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“*
*ტელ: (822ძ 25-10-34, (822ძ 25-10-74,*
*ADMIN@KHOBI.ORG*


## ლარის კურსი

7 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3814 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7195 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2290 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0648 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9753 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4792 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4023 ლარი. |

## ინფორმაცია

### ქართველები არასაიმედო რეიტინგში

**გამოქვეყნდა ახალი პერიოდული გამოცემა „სახელმძღვანელო დროშებისა და ცხრილების საქმიანობზე“. სახელმძღვანელო ხელს უწყობს დამქირავებლებს განსაზღვრონ საკუთარი რისკები ამა თუ იმ დროშის ქვეშ მცურავი გემის დაქირავებისას.**

სახელმძღვანელოში დროშის საიმედოობა განსაზღვრულია ეკიპაჟის კანონმორჩილებისა და სხვა პარამეტრების მიხედვით.

ე.წ. შავ სიაში ხვდებიან ის „დროშები“, რომლის ქვეშ მცურავი საშუალებების მიმართ დაგროვილია მნიშვნელოვანი პრეტენზიები. შავ სიაში მოხვედრილი დროშები 12 ქულით ფასდება.

შედარებისთვის, აღნიშნულ სახელმძღვანელოში რუსეთის საზღვაო დროშამ 5 ქულა დაიმსახურა, უკრაინამ 10, საქართველომ კი სრული 12, რაც ყველაზე ცუდი შედეგია.

ჯი-ეიჩ-ენი

### მტრედები ჯანმრთელი აღმოჩნდნენ

**როგორც სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ბათუმის ცენტრალური შტაბის უფროსმა ილია სირაბიძემ განაცხადა, სატელეფონო „ცხელ ხაზზე“ შესული შეტყობინების საფუძველზე, გასული დღე-ღამის განმავლობაში სპეციალისტები 16 ობიექტზე გავიდნენ, სადაც ძირითადად მკვდარი გარეული მტრედები დახვდათ.**

ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად, დახოცილ ფრინველებს ვირუსი არ აღმოაჩნდათ. სირაბიძის განცხადებით, ფრინველების დაცემის მიზეზი ცივი ამინდებია.

მისივე თქმით ბათუმში, ხულოს, ქედის, შუახევის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებში არსებული „ცხელი ხაზი“ 24 საათის განმავლობაში მუშაობს.

### იმერეთში ფრინველის გრიპს ებრძვიან

**იმერეთში ფრინველის გრიპის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებები ტარდება.**

**ქუთაისში რეგიონში განთავსებული საგანგებო შტაბების ხელმძღვანელები ტრენინგზე შეიკრიბნენ.**

ტრენინგებს ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების საერთაშორისო სააგენტოს მხარდაჭერით სოფლის მეურნეობის სამინისტრო ატარებს. სწავლება სხვადასხვა ინციდენტის სიტუაციურ ანალიზსა და მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ სავარჯიშოებს ითვალისწინებს.

მსგავსი ტრენინგ-სემინარები კახეთში, ქვემო ქართლში, აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში უკვე ჩატარდა. მსგავსი შეხვედრები მომავალში შიდა ქართლში, მცხეთა-თიანეთსა და სამცხე-ჯავახეთშიც იგეგმება.

ინტერპრესნიუსი

### „ამერიკის ხმამ“, შესაძლოა, ქართულ ენაზე მაუწყებლობა შეწყვიტოს

**„ამერიკის ხმამ“ მომავალი წლიდან, შესაძლოა, ქართულ ენაზე მაუწყებლობა შეწყვიტოს. ბიუჯეტის შეზღუდვა შეერთებული შტატების წლევანდელი ბიუჯეტით არის გათვალისწინებული. აშშ-ის მთავრობა არ დააფინანსებს მაუწყებლობას თორმეტ ენაზე, მათ შორის ქართულად.**

შესაძლო გაუქმების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ საქართველოს ბიუროში. „ამერიკის ხმის“ საქართაველოს ბიუროს წარმომადგენელი ელენე ბარათაშვილი აცხადებს, რომ ოფიციალური შეტყობინება ქართულ ენაზე მაუწყებლობის შეწყვეტის შესახებ ჯერჯერობით არ მიუღიათ.

დოკუმენტის მიხედვით, მაუწყებლობის მმართველი საბჭო „ხორვატულ, სერბულ, ალბანურ, ბოსნიურ, ქართულ, მაკედონიურ, თურქულ, ჰინდურ, რუსულ, ბერძნულ, ტაიურ, ასევე ინგლისურ ენებზე მაუწყებლობას ამცირებს “

VOA NEWS Голос Америки

იგეგმება რუსული სამაუწყებლო ქსელის გაზრდა. „ამერიკის ხმის“ რუსული სამსახურის მიღება მოკლე დიაპაზონის ტალღებზეც იქნება შესაძლებელი. „ამერიკის ხმა“რუსეთის მიმართულებაზე 2008 წელს 14 მილიონი დოლარის დახარჯვას გეგმავს. ქართულის გარდა, გაუქმდება საინფორმაციო სამსახურის უზბეკური რედაქცია და შეიზღუდება მაუწყებლობა უკრაინულ ენაზე. სამაგიეროდ, გაფართოვდება ახლო აღმოსავლეთის, ირანის, ავღანეთის, პაკისტანისა და ევროპის მუსლიმან მოსახლეობაზე გათვლილი რედაქციების მუშაობა.

ჯი-ეიჩ-ენი


## ყურადღება!

**მ/წლის 6 მარტს ჩატარდება ს/საზოგადოება საჩხერის საწარმოო კომბინატის აქციონერთა საერთო კრება დღის წესრიგი:**

1. ს/ს საჩხერის, საწარმოო კომბინატის წესდების, დამტკიცება ახალი რედაქციით.
2. ს/ს „საჩხერის საწარმოო კომბინატის“ საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანა.

**ქ. საჩხერე, ფეიქრის ქ. №7.**


## ანეკდოტები

ებრაელი და ჩინელი მატარებელში სხედან.

— უკაცრავად, თქვენ ებრაელი ბრძანდებით? — ეკითხება ებრაელი.

— არა, ჩინელი ვარ.

— არა, თქვენ ებრაელი ხართ, რად გრცხვენიათ ამის თქმა?

— რის უნდა მრცხვენოდეს, არა ვარ ებრაელი, ჩინელი ვარ!

ასე გაგრძელდა მთელი ორი საათი. ბოლოს ჩინელს მოსწყინდა და ებუნება:

— აი, ხომ გეუბნებოდით, — კმაყოფილებით ამბობს ებრაელი, — ახლა ის მითხარით, თქვენთვის აქამდე არავის უთქვამს, რომ საოცრად გავხართ ჩინელს?

* * *

„რა? სად? როდის? — ეს მომაბეზრებელი ინტელექტუალების თამაშია. უბრალო ხალხში კი პოპულარობით მუდამ სარგებლობდა თამაში „რა? სად? რამდენად?“



* * *

ზის მათხოვარი კუთხეში. გვერდით მოდურად გამოპრანჭული და ტყავის ხელჩანთიანი ბიზნესმენი ჩაუვლის.

— დამეხმარეთ, ღვთის გულისათვის, — ამოიკნავლებს მათხოვარი.

— მე მორწმუნე არა ვარ, — ამრეზით დახედავს ბიზნესმენი, — და არც თქვენ გირჩევთ.

* * *

შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ, თვლიან ისინი, ვისი შეცვლაც ძალზე იოლია.

* * *

ისინი, ვინც მორცხვობით არასდროს მოკვდება, ურცხვობით დაიხოცებიან.


**ორგანიზაცია: „თერჯოლაგაზი“**

**პოზიცია:** გაზსადენის/გაზგამანაწილებელი ქსელის მთავარი ინჟინერი

**სამუშაო ადგილი:** თბილისი-თერჯოლა

**გამოცხადების თარიღი:** 06.02.07.

**ბოლო ვადა:** 17.02.07

**სამუშაოს შესახებ:** „თერჯოლა გაზი“ „ბაგები სითი ჯგუფის“ შვილობილი კომპანიაა, რომელიც უზურნველყოფს თერჯოლის რაიონის გაზით მომარაგებას.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, გამოაგზავნოთ რეზიუმე, ელ-ფოსტაზე:

vakancy@liloerte.com


## კადრი




# რეკლამა

*„საქართველოს რესპუბლიკაში“* 98-96-32; 899 328576



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.